

ს ბრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები



№3

თბილისი
2010

საგარეულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები

2010 №3 (8)

საერთაშორისო სამეცნიერო-
მეთოდოლოგიური და პრაქტიკული,
ყოველკვარტალური რეფერირებული
ჟურნალი

Agrarian-economic Science and Technologies

2010 №2 (8)

International Scientific-
Methodological and Applied,
Quarterly Referenced Journal

Аграрно-экономическая наука и технологии

2010 №3 (8)

Международный научно-
методологический и практический,
ежеквартальный реферированный
журнал

ქურნალის დაფუძნებელი და გამომცემელია
საგარეული ეკონომიკის ინსტიტუტი
(ინსტიტუტი დაფუძნებულია საქართველოს მთავრობის
დადგენილებით-№74, 2006 წლის 5 აპრილი)

თბილისი, ი.ჭავჭავაძის 37, კ-14.
25-81-21; 25-81-20; 25-81-19; 25-81-29
E-mail: areal 44444@gmail.com
www. agroeco.org.ge

თბილისი- Tbilisi
2010

ომარ ქეშელაშვილი

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე და მთავარი რედაქტორი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭო:

მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსები: შ.ჭალაგანიძე, გ.ალექსიძე, რ.ასათიანი, ნ.ბალათურია, ა.დიდებულიძე, ი.ვასაძე, ა.ვაშაძიძე, ო.ზარდალიშვილი. ჯ.კაციტაძე, ა.კოზმანიშვილი, ლ.მარშანია, რ.მახარობლიძე, თ.ნანიტაშვილი, პ.ნასყიდაშვილი, ო.ონიანი, ნ.ქარქაშაძე, ვ.ქვეციშვილი, რ.ჩაგელიშვილი, ნ.ჩხარტიშვილი, ზ.ჩანქსელიანი, ვ.ცანავა, გ.ჯაფარიძე, ნ.ჭითანავა. სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტები: თ.ურუშაძე, ჯ.ონიანი, გ.ნიკოლეიშვილი, თ.კუნჭულია, პ.კოლუაშვილი.

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: გ.დოლონაძე, თ.კანდელაკი, რ.მანველიძე, ჯ.მახარაძე, ნ.ტურაბელიძე, ს.ყამარაული, ე.ხარაიშვილი, ე.ბარათაშვილი, ი.ხუდგინიძე.

პროფესორები: გ.ჯავახიშვილი, რ.კობალიანი, ნ.ოსებაშვილი, ლ.ჩიბურდანიძე, მ.ჩოკოლაშვილი.

სარედაქციო-სამეცნიერო საბჭოს უცხოელი წევრები:

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის საზღვარგარეთელი წევრები: ადელ ელ ბელტაგი (გერმანია), სერგი კაზარიანი (სომხეთი), ლუის ფეიგა კუნი (პორტუგალია), მარტინ აპენბრიკი (გერმანია), ჯანიკო მურუსიძე (რუსეთი), გენადი რომანენკო (რუსეთი), ალექსი სიზონოვი (უკრაინა), ჩაბა ჩაკი (უნგრეთი).

- პანომირ ცენოვი (ბულგარეთი), სადგე სალახოვი (აზერბაიჯანი), გალიბ გაჯიევი (აზერბაიჯანი).

სარედაქციო კოლეგია:

ინსტიტუტთაშორისი საკოორდინაციო-სარედაქციო კოლეგია:

რ.მახარობლიძე-აკადემიკოსი, ვ.ცანავა-აკადემიკოსი, ნ.ბალათურია-აკადემიკოსი, ზ.ჩანქსელიანი-აკადემიკოსი, რ.კობალიანი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, თ.დეკანოზიძე-ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ზ.მახარობლიძე-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, შ.ყანჩაველი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ნ.ბეგიაშვილი-ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, ნ.ბერენიკაშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, თ.სუბელიანი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, თ.ფირცხალაიშვილი-სოფლის მეურნეობის აკადემიური დოქტორი, ი.სარჯველაძე-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ა.მუმლაძე-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ლ.ქირიკაშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, ბ.წითლიძე-ბიოლოგიის აკადემიური დოქტორი, ტ.მათნაძე, მ.ჩაველიშვილი-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

საგამომცემლო-სარედაქციო კოლეგია:

ჯ.მახარაძე-ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ა.ლაფაჩია-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ე.მაგანია-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თ.მახარაძე-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ნ.დამენია-ბიზნესის მართვის აკადემიური დოქტორი.

452



O. Keshelashvili

Editor in chief and Head of Editor-Scientific Board; Doctor of Economic Sciences; Professor; Academician of the Academy of Agricultural Sciences

Editor-scientific Board:

Doctors of Sciences, professors, academicians of the Academy of Agricultural Sciences: Sh. Chalaganidze; G. Aleksidze; R. Asatiani; N. Bagaturia; A. Didebulidze; I. Vasadze; A. Vashakidze; O. Zardalishvili; J. Katsitadze; A. Kozmanishvili; L. Marshania; R. Makharoblidze; T. Nanitashvili; P. Naskidashvili; O. Oniani; N. Karkashadze; V. Kevkhashvili; R. Chagelishvili; N. Chkhartishvili; Z. Chankseliani; V. Tsanova; G. Japaridze; N. Chitanava. Corresponding member - of the Academy of Agricultural Sciences – T. Urushadze, J. Oniani, G. Nikoleishvili, T. Kunchulia, P. koguashvili.

Doctors of Economic Sciences, Professors: G. Dogonadze; T. Kandelaki; R. Manvelidze; J. Makharadze, S. Kamarauli; E. Kharaishvili, N. Turabelidze, E. Baratashvili, I. Zedginize.

Professors: G. Javakhishvili; P. Kopaliani; N. Iosebashvili; L. Chiburdanidze, M. Chokolashvili.

Foreign members of Editorial – scientific Board:

Foreign members of Georgian Academy of Agricultural Sciences: Adel EL Beltagi (German); Sergi Kazariani (Armenia); Luis Feiga Kuuni (Portugal); Martin Apenbreke (German); Janiko Murusidze (Russia); Genadi Romanenko (Russia); Aleksei Sizonov (Ukraine); Chaba Chaki (Hungary).

- Panomir Ivanov Tzenov (Bulgaria), Sadig Salaxov (Azerbaijan), Galib Gadjiyev (Azerbaijan),

Editorial Board:

Coordinating editorial board between institutes:

R. Makharoblidze – academician, V. Tsanova – academician, N. Baghaturia – academician, Z. Chankseliani – academician, R. Kopaliani – doctor of agrarian sciences, T. Dekanosidze – doctor of Biologic sciences, Z. Makharoblidze – doctor of technical sciences, S. Kanchaveli – doctor of argagian sciences, N. Begiashvili – doctor of technical sciences, N. Berenikashvili – Candidate of agrarian sciences, T. Subeliani – Candidate of agrarian sciences, T. Pirtskhalaishvili – academic doctor of agricultural, I. Sarjveladze – doctor of agrarian sciences, A. Mumladze – candidate of agrarian sciences, L. Qirikashvili – candidate of agrarian sciences, B. Tsitlidze – academic doctor of Biology T. Matnadze, M. Chavleishvili – candidate of economic sciences

Publishing Board

J. Makharadze – Doctor of Economic sciences; Professor, A. Lapachi – Candidate of Economic sciences; E. Dzagania – Candidate of Economic sciences; T. Makharadze – Candidate of Economic sciences; N. Damenia – Academic Doctor of Business management.

1. ეკონომიკა და ბიზნისი Economics and Business

აზრარული წარმოების ოპტიმიზაცია სამთო რეგიონებში ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით

ომარ ქეშელაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,
საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი.

მნიკოლეიშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

სამთო სოფლის მეურნეობის ოპტიმალური განვითარება მსოფლიოს ყველა მთიანი ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულებაა.

აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემის შესწავლის აქტუალობა და მიზანშეწონილობა გაპირობებულია მსოფლიო გლობალიზაციის მოთხოვნებით, რომლის თანახმადაც მასშტაბურად დგება საკითხი წარმოების ოპტიმიზაციის, რაციონალიზაციის, ინტეგრაციისა და მისი უზრუნველყოფის ეკონომიკური მექანიზმის შეწონასწორებული გამოყენების, მონხარების არელის გაფართოებისა და ეფექტური გაჯერების შესახებ.

საქართველო, სამთო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ქვეყანაა, რამეთუ მის საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე გვხვდება ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება, სახნავი ფართობი 3⁰-ზე ნაკლები დახრილობით შეადგენს 62,9%, აქტუალურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს, შესაბამისად ეკონომიკურ ღონესაც.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამთო რეგიონების, როგორც რეკრეაციული კომპლექსის ფუნქციის შემდგომ განმტკიცებას და აგროტურიზმის განვითარებას.

ყველა ეს პრობლემა (ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული) კომპლექსურად შეიძლება კარგად აღიწეროს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელით, რომელიც შედგება მიზნის ფუნქციისა (ეფექტიანობის კრიტერიუმი) და შეზღუდვებისაგან. შეზღუდვები, სამთო რეგიონებში ეკონომიკურ და ეკოლოგიური პირობებისა და შესაძლებლობების ასახავს, ხოლო კრიტერიუმად შეირჩა-მოგების მაქსიმუმი.

მოდელის პრაქტიკული რეალიზაციის შედეგების ანალიზი საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ სამთო რეგიონების განვითარების ოპტიმალური სტრუქტურა და ეკონომიკური და ეკოლოგიური პროცესების განვითარების დინამიკა.

სამთო სოფლის მეურნეობის ოპტიმალური განვითარება ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით, მსოფლიოს ყველა მთიანი ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტული მიმართულებაა.

აღნიშნული პრიორიტეტული პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია საქართველოსათვის, რადგანაც ის საკმაოდ მთიანი და სოფლის მეურნეობის თვალსაზრისით ძნელად ასათვისებელი რეგიონია. ზღვის დონიდან 500-მეტრამდე განლაგებული მთელი ტერიტორიის 26,7%, 500-1000-მეტრამდე-21,7%, 1000-დან 1500 მ-მდე 19,1%, 1500-დან 3000 მ-დე 31,0% და 3000 მ-ზე ზევით 1,5%.

აქ, მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობა განაპირობებს იმას, რომ ტერიტორიის 54% მიეკუთვნება უკავია, 33% მიისწინებს და მხოლოდ 13%- დაბლობს. მთელი ტერიტორიის მესამედზე მეტი ტყითაა დაფარული.

ეს პირობები გავლენას ახდენს სოფლის მეურნეობის პროფილსა და განვითარებაზე, რაც განისაზღვრება მცირემიწიანობითა და სავარგულთა თავისებური სტრუქტურით.

ამის გამო, აგრარულ წარმოებაში გამოიყენება მთელი ტერიტორიის 44%, სახნავს მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის მხოლოდ 25% უკავია, სათიბ-სადოვრებს (ე.წ. ექსტენსიური ტიპის მიწებს) კი 65%-ზე მეტი.

ამის შედეგად ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით მოდის მხოლოდ 0.66 კა სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 0,17 კა სახნავი, რაც შესაბამისად 3-4-ჯერ და 5-6-ჯერ ნაკლებია ვიდრე რუსეთში, უკრაინაში და ბელორუსიაში.

საქართველოს ტერიტორიაზე აქტუალურად მიმდინარეობს ეროზიული პროცესები, (წყლისა და ქარისმიერ ეროზიას განიცდის მილიონ კა მეტი მიწის ფართობი, ხოლო ეროზირებულია 852 ათასი კა) რომლებიც იწვევს ნაყოფიერი მიწების დანაკარგს და შესაბამისად ეკონომიკური ეფექტის შემცირებას. აგრარული პროდუქციის ზრდის ერთ-ერთი მთავარი რეზერვა ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიის შეჩერება, გვალვის მოქმედების შემცირება, დამლაშებული, ბიცი და ბიცობი ნიადაგების (რომლებიც 250 კა-ზე მეტს იკავებს) განაყოფიერება და სხვა.

ბუნებრივი ფაქტორები მჭიდრო კავშირშია ეკონომიკურ პირობებთან, რითაც განისაზღვრება სოფლის მეურნეობისადმი წაყენებული მოთხოვნები და საბაზრო მოტივაციები, ამასთან დაკავშირებით კი სპეციალიზაციის და კონცენტრაციის დონე, დარგობრივი და რეგიონალური კავშირები, მარკეტინგული სიტუაცია, ეკონომიკური მექანიზმის გამოყენების პირობები, სავარეო-ეკონომიკური კავშირები, სოციალური ურთიერთობები და სხვა.

საქართველოს მთიანი რეგიონების უმეტესობაში განსაკუთრებით აქტუალურია ეროზიული პროცესები, ასევე ამ რეგიონებისათვის დამახასიათებელია დემოგრაფიული პირობების გაუარესება, არ არის მაღალი სპეციალიზაციის დონე და შეადგენს 0,20-0,25, მაშინ როდესაც ღრმა სპეციალიზაციისათვის დამახასიათებელია 0,60-ზე მეტი სიდიდის კოეფიციენტი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე სამთო რეგიონებში აგრარული წარმოების ოპტიმიზაცია ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით მეტად საშუალო საქმეა.

სამთო რეგიონების ყოველი პექტარი მიწის სავარგულის შენარჩუნებისა და ინტენსიური გამოყენებისათვის აუცილებელია მათი რაციონალური და მკაცრად მიზნობრივი გამოყენება და დაცვა მავნე პროცესებისაგან.

ამით აცილებული იქნება სამთო რეგიონების სასოფლო-სამეურნეო სავარგულების არასასურველი ტრანსფორმაცია.

საქართველო, სამთო სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე უნიკალური ქვეყანაა, რამეთუ მის საკმაოდ მცირე ტერიტორიაზე გვხვდება ბუნებრივ-ეკონომიკური პირობების

საკმაოდ დიდი მრავალფეროვნება. აქვე გვხვდება ნიადაგებისა და კლიმატის თითქმის ყველა სახეობა. ბევრ სამთო რეგიონში დიდი დახრილობის ფერდობებისა და მიწის საფარვლების დანაწევრების გამო იხლუდება უნივერსალური მექანიზაციის საშუალებების გამოყენება, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას და მისი ეფექტიანობის ამაღლების შესაძლებლობებს, შესაბამისად ეკონომიკურ ღონესაც.

სამთო რეგიონებში ერთ მხრივ არსებობს მრავალმხრივი და მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები, რომლებიც არასაკმაოდ არის გამოყენებული, მეორეს მხრივ კი არსებობს დიდი რეზერვები და შესაძლებლობები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის.

ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამთო რეგიონების, როგორც რეკრეაციული კომპლექსის ფუნქციის შემდგომ განმტკიცებას და აგროტურიზმის განვითარებას.

ყველა ეს პრობლემა-ეკონომიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული-კომპლექსურად შეიძლება კარგად აღიწეროს ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელით.

სამთო რეგიონის ეკონომიკური განვითარების მიუხედავად მნიშვნელოვანია ისეთი ფაქტორების გათვალისწინება, როგორიცაა გეოლოგიური პროცესების მიმდინარეობა, ტრადიციული დარგების აღორძინება, მოსახლეობის დასაქმება ახალი სამეურნეო თუ რეკრეაციული დარგებით. გეოლოგიური პროცესების გვეგმანომიური აღკვეთა გამოინახატება შეზღუდვებში ტყის ჩეხვაზე, მექანიზირებულ შრომაზე, მინერალური სასუქების გამოყენებაზე, სათეს კულტურებზე და სხვა.

სამთო რეგიონებისათვის მეტად მნიშვნელოვანია საინფორმაციო ბანკისა და მათი ინფორმაციული ტექნოლოგიური სისტემის დამუშავება. საინფორმაციო ბანკი მოიცავს ეკონომიკურ, ეკოლოგიურ, დემოგრაფიულ, რეკრეაციულ და სხვა გარემოს შესახებ ამომწურავ ინფორმაციას. ეს კი საბოლოოდ საშუალებას მოგვცემს გავითვალთ სამთო რეგიონების სასოფლო-სამეურნეო წარმოების ოპტიმალური სტრუქტურა.

სამთო რეგიონის აგრარული წარმოების ოპტიმალური განვითარების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი შედგება მიზნის ფუნქციისა (ეფექტიანობის კრიტერიუმი) და შეზღუდვებისაგან. შეზღუდვები, სამთო რეგიონში ეკონომიკურ და

ეკოლოგიურ პირობებსა და შესაძლებლობებს ასახავს, ხოლო კრიტერიუმად შერჩეულია-მოგების მაქსიმუმი, საერთო პროდუქციის მაქსიმუმი, სასაქონლო პროდუქციის მაქსიმუმი, დანახარჯების მინიმუმი და სხვა.

ძირითადი შეზღუდვები შემდეგი სახისაა:

- 1) სასოფლო-სამეურნეო სავაგულების ბალანსი;
- 2) სახნავი მიწის ფართობთა ბალანსი;
- 3) სასოფლო-სამეურნეო რესურსული პოტენციალის ბალანსი;
- 4) მეცხოველეობის საკვები ბაზის ბალანსი;
- 5) ბაზრის მოთხოვნათა ბალანსი.

ამასთან, აუცილებელია, რომ თითოეულ დარგში წარმოებული პროდუქცია არ შეიძლება იყოს არც შესაძლებელ მინიმუმზე ნაკლები და არც შესაძლებელ მაქსიმუმზე მეტი.

გარდა ამ შეზღუდვებისა სამთო რეგიონებისათვის აუცილებელია ეკოლოგიური შეზღუდვების გათვალისწინება:

- შეზღუდვა ეროზიის საწინააღმდეგო თესლბრუნვაზე;
- შეზღუდვა ტყის ჩეხვაზე;
- შეზღუდვა პირუტყვის ძოვებაზე;



-შეზღუდვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებაზე დახრილ და ეროზირებულ ფართობებზე;

-შეზღუდვა მინერალური სასუქების რაციონალურ გამოყენებაზე.

კონკრეტული სამთო რეგიონისათვის შეზღუდვების რაოდენობა შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს.

მოდელის მათემატიკური ფორმალიზაციისათვის შემოვიტანოთ შემდეგი აღნიშვნები:

$m \in M$ - რეგიონის ადმინისტრაციული ერთეულების სიმრავლე.

რეგიონის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები დაგვით ნაკვეთებად შეგვევი მასხაითებლების მიხედვით; ნიადაგის შედგენილობა, დახრილობა და ეროზირება. თუ ერთი მასხაითებელი მაინც განსხვავებულია მაშინ ეს ნაკვეთები ითვლებიან განსხვავებულად.

Nm, N -შესაბამისად ნაკვეთების ინდექსების სიმრავლე m ადმინისტრაციულ ერთეულში და რეგიონში.

$$(Nm = \{nm-1+1, \dots, nm\}, N = \cup Nm);$$

$$m=1$$

$x_{in} (i \in I, n \in N)$ - i -ური კულტურის მიერ n -ურ ნაკვეთზე დაკავებული მიწის ფართობი. I -სასოფლო-სამეურნეო კულტურების ინდექსების სიმრავლე.

-5-

$Y_{jm} (j \in I_G, m=1, \dots, M)$ - j -ური სახეობის პირუტყვის სულადობა m -ურ ადმინისტრაციულ ერთეულში. I_G - მეცხოველეობის ინდექსების სიმრავლე.

$Z_r. (r \in R)$ - r -სახის რეკრეაციული საქმიანობისა და აგროტურიზმის მოცულობა.

R - მათი ინდექსების სიმრავლე.

მოცემულ აღნიშვნებში ამოცანის მათემატიკურ მოდელს ექნება შემდეგი სახე:

$$1) \sum_{i \in I} x_{in} \leq A_n$$

-სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ბალანსი ნაკვეთების მიხედვით, სადაც A_n - არის n -ური ნაკვეთის ფართობი.

$$2) \sum_{n \in Nm} \sum_{i \in I} b_{kin} x_{in} - \sum_{j \in I_G} c_{kjm} Y_{jm} \geq 0$$

-პირუტყვის საკვების ბალანსი m -ადმინისტრაციულ ერთეულში, სადაც b_{kin} - k -სახის საკვების გამოსავლიანობაა i -ური კულტურისაგან n -ურ ნაკვეთზე;

c_{kjm} - k -ური საკვების მოთხოვნილება;

$$3) \text{ა) } \sum_{n \in Nm} \sum_{i \in I} a_{pin} x_{in} + \sum_{j \in I_G} a_{pjm} Y_{jm} + u_{pm} \leq A_{pm}$$

-შრომითი რესურსებისა და ძირთადი საწარმოო ფონდების ბალანსი;

$$\text{ბ) } \sum_{n \in Nm} \sum_{i \in I} a_{p0in}^{\alpha} x_{in} \leq A_{p0m}^{\alpha}$$

- α -დახრილობის ნაკვეთზე მექანიზირებულ შრომაზე შეზღუდვა;

$$\text{გ) } \sum_{n \in Nm} \sum_{i \in I} a_{p0in}^{\beta} x_{in} \leq A_{p0m}^{\beta}$$

-ქ-ეროზიის ნაკვეთზე მექანიზირებულ შრომაზე შეზღუდვა;

$$\text{დ) } \sum_{m=1}^M u_{pm} + R_p - \sum_{r=1}^R a_{pr} z_r \geq 0$$

-p-სახის რეკრეაციულ და სამეწარმეო საქმიანობაზე შრომითი რესურსებსა და ძირითადი საწარმოო ფონდებზე შეზღუდვა;

სადაც $a_{pin}, a_{pjm}, a_{p0in}, a_{p0in}^{\beta}$ -პროგნოზირებული დანახარჯებია p-ური სახის რესურსისა ერთეული მოცულობის i, j-ურ დარგზე m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

a_{pr} - პროგნოზირებული დანახარჯებია p-ური სახის რესურსისა ერთეული მოცულობის r-სახის სამეწარმეო და რეკრეაციულ საქმიანობაზე;

$A_{pm}, A_{p0m}, A_{p0m}^{\beta}$ -p-ური სახის საწარმოო რესურსის მოცულობა m-ურ ადმინისტრაციულ ერთეულში;

U_{pm} -p-სახის გამოუყენებელი რესურსის მოცულობა m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

R_p -p-ური სახის რესურსის მოცულობა, რომელიც თავისუფალია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისგან;

$Nm \alpha$ - იმ ნაკვეთების ინდექსების სიმრავლე, რომელთაც გააჩნიათ α -დაზრილობა m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

$Nm \beta$ - იმ ნაკვეთების ინდექსების სიმრავლე, რომელთაც გააჩნიათ β -ეროზია m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

$$4) \sum_{n \in N} \sum_{i \in I} s_{in} x_{in} + \sum_{j \in J} s_{jm} Y_{jm} + \sum_{r \in R} s_r z_r \leq S$$

რეგიონის კაპიტალდაბანდებათა ბალანსი, სადაც s_{in}, s_{jm}, s_r -კაპიტალდაბანდების პროგნოზირებული დანახარჯები ერთეულ მოცულობაზე;

S-კაპიტალდაბანდების ლიმიტი;

$$5) \sum_{i \in I} k_i x_{in} / A_n \leq E_n$$

n-ურ ნაკვეთზე ეროზიის საწინაღმდეგო თესლბრუნვაზე შეზღუდვა, სადაც k_i -i-ური კულტურის მდგრადობის კოეფიციენტი ეროზიის მიმართ;

E_n -n-ური ნაკვეთის ეროზიის საწინაღმდეგო თესლბრუნვის მთლიანი კოეფიციენტი;

$$6) \text{ა) } \sum_{n \in N} \sum_{i \in I} v_{lin} x_{in} = V_l$$

-მემცენარეობის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა რეგიონში;

$$\text{ბ) } \sum_{n \in N} \sum_{i \in I} v'_{lin} x_{in} = V'_l$$

-მეცხოველეობის სასაქონლო პროდუქციის მოცულობა რეგიონში, სადაც v_{lin}, v'_{lin} -l-სახის სასაქონლო პროდუქციის გამოსავლიანობაა m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

$$7) \sum_{n \in N} \sum_{i \in I} x_{in} - \sum_{j \in J} y_{jm} + \sum_{r \in R} z_r = H_{km}$$

k-ური სახის სასუქის ბალანსი m-ადმინისტრაციულ ერთეულში;

$$8) \text{ა) } F_{im} \leq \sum_{n \in N} x_{in} \leq F'_{j im}$$

$$\text{ბ) } G_{jm} \leq y_{jm} \leq G'_{jm}$$

-მემცენარეობისა და მეცხოველეობის დარგებზე ორმხრივი შეზღუდვები;

$$9) \sum_{n \in N} b_{kn} x_{in} - \sum_{i \in I} c_{k0j} Y_{jm} \geq 0$$

-შეზღუდვა პირუტყვის ძოვებაზე, სადაც Nmn -სადოვრების ინდექსების სიმრავლე m -ურ ადმინისტრაციულ ერთეულში;

$$10) Q_q - \sum_{q \in Q} d_q z_r \geq 0$$

-სამეწარმო ან რეკრეაციულ საქმიანობაზე შეზღუდვა, სადაც d_q - q -ურ რესურსზე მოთხოვნა r -სახის საქმიანობისათვის;

Q_q -რეგიონში q რესურსის მოცულობა.

ცვლადების ნიშნულობები, რომლებიც აკმაყოფილებენ ჩამოთვლილ შეზღუდვებს წარმოადგენენ ამოცანის დასაშვებ ამოხსნებს. მათგან უნდა ავარჩიოთ ის ამოხსნა, რომელზედაც მიზნის ფუნქცია (მოგების მაქსიმუმი) მიიღებს მაქსიმალურ მნიშვნელობას. მიზნის ფუნქციას აქვს შემდეგი სახე:

$$Z = \sum_{n \in N} \sum_{i \in I} x_{in} + \sum_{j \in J} Y_{jm} + \sum_{r \in R} z_r$$

სადაც :

I_n - n -ნაკვეთზე i -ური კულტურის ერთეული მოცულობისაგან მიღებული მოგება;

I_{jm} - m -ურ ადმინისტრაციულ ერთეულში j -ური სახის ერთეული სული პირუტყვისაგან მიღებული მოგება;

I_r - r -სახის სამეწარმო საქმიანობის ერთეულისაგან მიღებული მოგება.

შემუშავებული მათემატიკური მოდელი მიეკუთვნება წრფივი მოდელის სფეროს. მისი პრაქტიკული რეალიზაციისათვის საჭიროა საიმედო საწყისი ინფორმაცია. საწყისი ინფორმაცია მოიცავს ფაქტობრივად რეგიონის ეკონომიკური და ბუნებრივი გარემოს მახასიათებლებს. გათვლების შედეგად მივიღებთ რეგიონის განვითარების ოპტიმალურ სტრუქტურას.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დამუშავდება შემდეგი სტრატეგიული სისტემები:

- 1) საძოვო სოფლის მეურნეობის ეკონომიკური ზრდის სტრატეგია;
- 2) საძოვო სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების გაძლიერების ზონალურ-დოფერენცირებული ტექნოლოგიური სისტემა, მისი ცალკეული ელემენტების მოდიფიკაციების შექმნით;
- 3) საძოვო რეგიონების სასურსათო უსაფრთხოების დოფერენცირებული პროგრამა;
- 4) საძოვო რეგიონებში ინვესტიციების მოზიდვისა და გამოყენების ეკონომიკური მექანიზმი და მისი რეალიზაციის რეკომენდაციები;
- 5) რეკრეაციული საქმიანობისა და აგროტურიზმის განვითარების პროგრამა;
- 6) საძოვო რეგიონებში აგრარული წარმოების პროგრესული მოდელი და მისი ფუნქციონირების ტექნიკურ-ეკონომიკური პარამეტრები.

Optimization of Agrarian Production Mountainous Regions with Consideration of Ecological Conditions



O.Keshelashvili

Doctor of Economic Sciences,
Professor, academician.

M.Nikoleishvili

Candidate of Economic Science

Abstract **(Internet Version)**

Optimal development of mountainous agriculture is strategic prior direction for all mountainous countries in the world.

Actuality and necessity of above mentioned problem's study is demand of the world globalization, which itself rises production optimization, rationalization, integration and use of economic combined mechanism for its provision, expanding and effective saturation.

Georgia is one of the unique countries for mountainous agriculture, as on its rather small territory there maybe met variety of natural economic conditions: plough land with 3° slope is 62,9%, erosion is actual which prevent development of agricultural branches and possibilities of their efficiency, and consequently the level of economy.

Besides, great attention should be mentioned on further development of recreational complex function and agro tourism.

All these problems (economic, ecologic and demographic) can be described by economic-mathematic model which consists of aim function (criteria of efficiency) and limits. Limits reflect economic and ecological conditions and possibilities in mountainous regions, and as for criteria-if has been selected-maximum profit.

Analyses of practical realization of this model will give us possibility to define optimal structure of mountainous regions' development and dynamics of economic and ecological processes development.

ევროკრიზისი და მისი დაძლევის პერსპექტივები

ავთანდილ ლაფაჩი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რევაზ ილაშვილი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

ევროპის საეკონომიკური ურთიერთობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის ვალი იტალიასა და ესპანეთისადმი შეადგენს 731 მლრდ დოლარს, თავის მხრივ ესპანეთის დავალიანება პორტუგალიისა და გერმანიის მიმართ შეადგენს - 58 და 238 მლრდ. დოლარს, ხოლო მისი მთლიანი ვალი 1,1 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უმუშევრობამ ესპანეთში 20%-ს გადააჭარბა. თანხის აბსოლუტური მოცულობით ყველაზე დიდი ვალი აქვს იტალიას - 1,4 ტრილიონი დოლარი, მხოლოდ საფრანგეთისადმი იტალიის ვალი საფრანგეთის საერთო შიდა პროდუქტის 20%-ს უტოლდება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე ევროკავშირის საბჭომ ფინანსთა მინისტრების დონეზე მიიღო გადაწყვეტილება და შექმნა საერთაშორისო ანტიკრიზისული ფონდი 750 მილიარდი ევროს მოცულობით.

ევროზონის კარდინალური რეფორმის გარეშე ევროპის კრაზი გარდაუვალია და ევროს გაქრობა ელის, თუ ევროკავშირი დღევანდელ ინსტიტუციონალურ პრობლემებს არ მოაგვარებს და მსოფლიო, ეკონომიკური კრიზისის ახალ ფაზაში გადავა.

ევროკრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა ერთიანი ევროპული ბიუჯეტის შექმნა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ევრო ბრუნვიდან გაქრება. ერთიან ვალუტას არ შეუძლია არსებობა ერთიანი ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის გარეშე, რომლის ფორმირებისთვის ჯერ რეალური ნაბიჯები გადადგმული არ არის,

მ

სოფლიო ფინანსურმა კრიზისმა მოიცვა, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების იპოთეკურ ბაზარზე შექმნილმა დისპროპორციებმა წარმოშვა. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ევროპა აღმოჩნდა. ევროპის ქვეყნები თავს ვეღარ ართმევენ საეკონომიკური ურთიერთობებს და კრიზისიდან გამოსვლის გზებს ეძებენ, თუმცა ევროპის ქვეყნებში ფინანსური თუ საბანკო კრიზისი ჯერ კიდევ 80-90-იან წლებში დაიწყო. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, როგორცაა შვედეთი და ფინეთი, საბანკო კრიზისმა პიკს მიაღწია 1991-1993 წ.წ. სწორედ მაშინ, როდესაც მათ წინაშე გაჩნდა პრობლემური ბანკების დარეგულირების საკითხი. ამ ქვეყნებში 1994-1995 წ.წ. გატარებულ რიგ ღონისძიებათა შედეგად, მიღწეულ იქნა საბანკო სექტორის გაჯანსაღება, რითაც 1996 წელს საბანკო მომსახურების ბაზარზე სიტუაცია საერთოდ ნორმალისებული იქნა. ამ ქვეყნების გამოცდილების ანალიზი საინიშნაო სამამულო საბანკო სექტორისათვის, რამდენადაც კრიზისის მიზეზები მსგავსია ჩვენი ქვეყნისა. საბანკო კრიზისის გაჩენის მიზეზი პირველყოვლისა უნდა ვეძებოთ ეკონომიკის დაუბალანსებულობაში, რაც მისი ცალკეული სექტორებისადმი მკაცრ სახელმწიფო დარეგულირებას მოჰყვა, რიგი დარგების სუბსიდირება. (განსაკუთრებით მშენებლობის).

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისეთი ქვეყნის ბანკების კრიზისის დაძლევის გამოცდილება, როგორც ესპანეთია, სადაც პრობლემური ბანკების ლიკვიდაციის საქმეში სანაციის ფორმების, მეთოდების რეალიზაციისას

განსაკუთრებული როლი შეასრულა ქვეყნის ცენტრალურმა ბანკმაც. საბანკო კრიზისი მათთან 1978-1988 წწ. დაიწყო და იმ დროისათვის სისტემაში 112 ბანკი იყო, 85 საშემანახველო საღარო, და 152 საკრედიტო კოოპერატივი. ცალკეულ ბანკებს პრობლემების გაჩენისთანავე, როგორც წესი, უპრობლემოდ შეინყვიდნენ მსხვილი ბანკები და ამით პრობლემებიც წყდებოდა. ესპანეთის ეკონომიკის ლიბერალიზაციისა და მისი ევროპულ ფინანსურ გარემოში ინტეგრაციის გამო, კომერციულ ბანკებს გაუჩნდათ სისტემური ხასიათის პრობლემები. საბანკო კრიზისის გადასალახავად 1978 წელს შემუშავდა განსაკუთრებული ზომები და შეიქმნა სპეციალური ინსტიტუციონალური მექანიზმი, კერძოდ, ესპანეთის ბანკს მიენიჭა უფლება კრიზისული საკრედიტო დაწესებულების მიმართ განეხორციელებინა „ინტერვენცია“ ე.ი. იქ დაინიშნებოდა რწმუნებული პირი, რომელიც შეამოწმებდა და მოიწონებდა ბანკის მმართველთა საბჭოსა და აქციონერთა კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. რწმუნებულს ჰქონდა „ვეტოს“ უფლება და ამიტომ საკრედიტო დაწესებულების ხელმძღვანელთა ყველა გადაწყვეტილება, რომელსაც რწმუნებული პირი არ მოიწონებდა, ბათილად ჩაითვლებოდა. ეს იყო პრობლემური ბანკის საქმიანობაზე კონტროლის პასიური ფორმა. ამასთან ერთად, ესპანეთის ბანკს, ასევე გააჩნდა აქტიური კონტროლის განხორციელების უფლებაც, რაც ახალი დროებითი ხელმძღვანელების დანიშვნაში და ამასთან დაკავშირებით ძველი ხელმძღვანელობის უფლებამოსილებათა დროებით შეწყვეტაში გამოიხატებოდა.¹

1977 წელს, ბანკებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენის მიზნით, შეიქმნა დეპოზიტების გარანტირების ფონდი. 1978 წელს კი—საბანკო კორპორაცია. ცოტა მოგვიანებით, 1980 წელს საკრედიტო კოოპერატივებისათვის, ხოლო 1982 წელს — შემნახველი საღაროებისათვის, დეპოზიტების გარანტირებული ფონდი შეიქმნა. ამ ფონდის ამოცანას წარმოადგენდა მენაბრეთათვის კანონით გარანტირებული თანხების გაცემა (იმ შემთხვევაში თუ შეჩერებული იქნებოდა გადახდები ან მოხდებოდა საკრედიტო ორგანიზაციების ლიკვიდირება) და საბანკო სისტემებისადმი შენარჩუნება ნდობის უზრუნველყოფა. ერთდროულად ესპანეთის ბანკს მინიჭებული ჰქონდა რიგი ადმინისტრაციული ფუნქცია, რაც მას უფლებას ანიჭებდა ჩაბმულიყო ბანკის ოპერატიულ საქმიანობაში. 1978 წელს ეროვნული საბანკო სისტემა ღია გახდა უცხოური ბანკებისათვის, რომლებიც დაინტერესდნენ კრიზისული ბანკების შექმნით, რადგან თავად მათ სამ ფილიალზე მეტის უფლება არ ჰქონდათ. ამას გარდა, მათ ეროვნულ ვალუტაში დეპოზიტზე მკაცრი ლიმიტი უწესდებოდათ.

ფინანსური დახმარების პირობით ფონდი კრიზისულ ბანკებს კრედიტს უპროცენტოდ, ხანგრძლივი ვადით სთავაზობდა. საერთოდ, ასეთი კრედიტებისათვის ფონდმა გასცა 3,5 მილიარდი დოლარი. მისი დანახარჯები შეადგენდა სხვაობას კრედიტის საბაზრო ღირებულებასა და რეალურ საპროცენტო განაკვეთს შორის. ამ დანახარჯებმა შეადგინა 700 მლნ. დოლარი. ამას გარდა, მნიშვნელოვანი თანხები უბრალოდ ირიცხებოდა ბანკში იმისათვის, რომ ამ ბანკს დასახელებული ხასხსრები მოგებინ ბიზნესში დაეხმებინა. ფაქტიურად ეს იყო ფონდის პირდაპირი წაგება. ფონდის საერთო ხარჯებმა ხანიერებასა და ლიკვიდობაში ბანკის კრიზისულ წლებში 3,9 მილიარდი დოლარი შეადგინა.

საერთო ფინანსური შედეგები დასავლეთ ევროპის ქვეყნებში გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებების შედეგად იმაზე მეტყველებენ, რომ საკრედიტო

¹ Competition and Controls in Banking. Alhadeff, David A. Berkeley – Los Angeles, University of California press, 1988, p 45

ორგანოზაციების სანაცია მნიშვნელოვან დანახარჯებს მოითხოვს. ესპანეთში კრიზისის მთელი პერიოდის მანძილზე კრიზისიდან თავის დაღწევის ღონისძიებებზე გაწეულმა დანახარჯებმა მშპ-ს 2% შეადგინა, – ნორვეგიაში მხოლოდ 1991 წელს ასევე მშპ-ს 2%, – ფინეთში 1992 წელს – 5%, – შვედეთში 1992 წელს მშპ-ს 2,4%.²

ასეთი მცდელობებისა და უამრავი ანტიკრიზისული ღონისძიებების გატარების მიუხედავად ევროპის ქვეყნები დღესდღეობით გაცილებით მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

ევროპის საგალო ურთიერთობების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საფრანგეთის ვალი იტალიასა და ესპანეთისადმი შეადგენს 731 მლრდ დოლარს, თავის მხრივ ესპანეთის დავალიანება პორტუგალიისა და გერმანიის მიმართ შეადგენს – 58 და 238 მლრდ. დოლარს, ხოლო მისი მთლიანი ვალი 1,1 ტრილიონ დოლარს აჭარბებს. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ უმუშევრობამ ესპანეთში 20%-ს გადააჭარბა. თანხის აბსოლუტური მოცულობით ყველაზე დიდი ვალი აქვს იტალიას – 1,4 ტრილიონი დოლარი, მხოლოდ საფრანგეთისადმი იტალიის ვალი საფრანგეთის საერთო შიდა პროდუქტის 20%-ს უტოლდება. ამ გარემოებებიდან გამომდინარე ევროკავშირის საბჭომ ფინანსთა მინისტრების დონეზე მიიღო გადაწყვეტილება და შექმნა საერთაშორისო ანტიკრიზისული ფონდი 750 მილიარდი ევროს მოცულობით.

ევროზონის ქვეყნები შემოფოთებულნი არიან არა მარტო საბერძნეთის, არამედ მთლიანად ევროპის მდგომარეობით, კერძოდ, უახლოეს პერსპექტივაში საბერძნეთის ფინანსური პრობლემები ესპანეთისა და პორტუგალიაზეც გავრცელდება და მან შეიძლება ბულგარეთი, რუმინეთი და სერბეთი მოიცვას, რადგანაც ამ ქვეყნებში საბერძნეთის მრავალი ბანკი არის განთავსებული. საბერძნეთის ფინანსური კრიზისი და მისი დეფიციტი მსოფლიოში დიდ შემოფოთებას იწვევს. ევროპელ ინვესტორებს განსაკუთრებით ესპანეთი ადარდებს, რადგანაც 2009 წელს ევროზონის საერთო შიდა პროდუქტის 8,5% სწორედ ესპანეთმა შექმნა, საბერძნეთის ანალოგიური მაჩვენებელი 2%-ს არ აღემატება, პორტუგალიისა კი მხოლოდ 1,5%-ს აღწევს. სტენლი ფიშერის აზრით, ევროპის ეკონომიკური კრიზისი ისრაელსაც ემუქრება.

ევროზონის კარდინალური რეფორმის გარეშე ევროპის კრაზი გარდაუვალია და ევროს გაქრობა ელის, თუ ევროკავშირი დღევანდელ ინსტიტუციონალურ პრობლემებს არ მოაგვარებს და მსოფლიო, ეკონომიკური კრიზისის ახალ ფაზაში გადავა. ამ ფაზას ობიექტურად განაპირობებს მსოფლიოს მთელი რიგი განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნების უპრეცედენტო სახელმწიფო დავალიანებები.

მსოფლიოს ძირითადი კაპიტალის ბაზრებს მომავალი 100 წლის მანძილზე უდიდესი კრიზისი ელის, რადგანაც ევროკავშირი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ ყველა ქვეყნის ვალების მომსახურებას ვერ უზრუნველყოფს და დეფოლტები გარდაუვალია. დღეისათვის სახელმწიფო ვალის პრობლემებს ბევრი ქვეყანა განიცდის, ყველაზე მძიმე მდგომარეობა ბერძნებს, ესპანელებს, პორტუგალიელებს და იტალიელებს აქვთ. ევროკავშირის დამატებითი ზომების მიღება მოუწევს, რათა ბაზარზე შემდგომი ჩავარდნები თავიდან აიცილოს. ამ მდგომარეობიდან საუკეთესო გამოსავალია ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ პრობლემური ქვეყნების სახელმწიფო ობლიგაციებში სახსრების მიმართვა, მაგრამ შესაძლებელია, რომ ევრო ყველა ქვეყანას არ ევოს.

საბერძნეთში გადასახადების გაზრდა პრობლემებს ვერ გადაწყვეტს, რადგანაც გადასახადების გადაუხდელობა მოსახლეობის ცხოვრების წესად იქცა და

² Sinkley J. F. Jr. Commercial Bank Financial Management in the Financial- Services Industry
_4 ed. NY. Macmillam Publ, 1992 p. 89

მდიდარი ბერძნები თავიანთ აქტივებს ლონდონში უძრავი ქონების შექენით აზღვევენ. ძვირადღირებული სახლების შექენით ბერძნები თავიანთ ფულს საკუთარი ქვეყნის პრობლემებისაგან იხსნიან.

სუვერენული დეფოლტები კიდევ არაფერია, ევროკავშირს უფრო ღრმა კრიზისი ელოდება წინ და უფსკრულში გადაჩეხვის საფრთხე ემუქრება. ჯერ კიდევ 1918 წ. ოსვალდ შპენგლერმა გამოაქვეყნა ფილოსოფიური ნაშრომი „ევროპის დიასი“, სადაც განხილულია ევროპული კულტურის მომავლის საკითხი. იაპონიის ბანკმა ფინანსური სისტემის გადასარჩენად 2 ტრილიონი იენი გამოყო. ექსპერტების აზრით, ჩრდილოეთ კორეას ეკონომიკური დახმარება ესაჭიროება და ის ჩინეთს იმედზეა, მაგრამ წინასწარ არავინ არ იცის, რა ელის თავად ჩინეთს, რადგანაც უახლოესი ერთი წლის მანძილზე მისი ეკონომიკური ზრდის ტემპი შენელებია, რაც განპირობებული იქნა ქვეყნის უძრავი ქონების ბაზარზე საფონდო და სასაქონლო ფასების დაწევით.

ევროპის მიერ საბერძნეთისათვის შემუშავებული ეკონომიის გეგმა აბსოლუტურად განუხორციელებელია, რადგანაც საბერძნეთის დანახარჯების ძირითად ნაწილს თავდაცვის ბიუჯეტი შეადგენს, რომლის შემცირებაც არ განიხილება. დღეისათვის ევროზონა უარს აცხადებს ერთადერთ სწორ და ქმედით გადაწყვეტილების მიღებაზე – ევროპული ფასიანი ობლიგაციების გამოშვებასა და მათი დახმარებით ევროპის სახელით სესხებზე. ეს არის ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელსაც ვალის შემცირება შეუძლია. ეკონომიკური ზრდის განახლების მილოდინში, ვიდრე ეკონომიის ზომები იმოქმედებს, ფინანსური კატასტროფის თავიდან აცილებაა აუცილებელი. იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ კატასტროფა საჭიროა ფულადი სესხები, ხოლო საიმედო მსესხებლად კი მხოლოდ ევროკავშირი შეიძლება გამოვიდეს, მაგრამ ამ მიმართულებით ბოლო ორი წლის მანძილზე თითქმის არაფერი არ განხორციელებულა. თავიდან მსოფლიოში წარმოიშვა მცირე ამერიკული იბოთეკური კრიზისი, რომელიც გაანგარიშებით მხოლოდ 10 მლრდ დოლარი შეიძლება დამჯდარიყო, მაგრამ ეს კრიზისი შემდგომში თანდათანობით მსოფლიო საბანკო კრიზისში გადაიზარდა, რომელიც უკვე 500 მლრდ დოლარი ღირდა. უმოქმედობამ ყველაფერი გადასახადების გადამხდლებს დააკისრა და შედეგად დაიწყო სახელმწიფო ვალების კრიზისი, რომელსაც 7-8 ტრილიონი დოლარი შეადგინა.

ევროკრიზისიდან გამოსვლის საუკეთესო საშუალებაა ერთიანი ევროპული ბიუჯეტის შექმნა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში ევრო ბრუნვიდან გაქრება. ერთიან ვალუტას არ შეუძლია არსებობა ერთიანი ფისკალური და საბიუჯეტო პოლიტიკის გარეშე, რომლის ფორმირებისთვის ჯერ არ არის გადადგმული რეალური ნაბიჯები, აქედან გამომდინარე მომავალ 2-3 წელიწადში ან უფრო ადრეც ევროკავშირი დაიშლება, რადგანაც კრიზისი ჯერ მხოლოდ ახლა იწყება, ვინაიდან მსოფლიოში სახელმწიფოების ვალები იზრდება და რესცესიაც სახეზეა. ეს არ უნება ჩინეთს, ინდოეთს და აზიას, თუმცა ევროპაში, აშშ-სა და იაპონიაში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის წევრ ყველა ქვეყანაში კრიზისია.

ევროპას ჯერ კიდევ აქვს შანსი კრიზისი გამოიყენოს როგორც საშუალება ყველაფრის გასაუმჯობესებლად და მისთვის ერთადერთი გამოსავალია არა „ნაკლები ევროპა“ არამედ „მეტი ევროპა“.

მსოფლიოს ექსპერტები აუცილებლად გადაამოწმებენ პოლიტიკოსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, რომლებმაც თითქმის არაფერი არ გააკეთეს საფრანგეთის, პორტუგალიის, ესპანეთის და საბერძნეთისათვის, რის შედეგადაც აღნიშნულ ქვეყნებში უახლოეს მომავალში სახელმწიფო ვალის ზრდის ტენდენცია იქნება შენარჩუნებული.

Eurocrisis and the prospects of its overcoming

Avtandil Lapachi

Candidate of Economic Sciences

Revaz Ilashvili

Candidate of Economic Sciences

Abstract

(Internet Version)

The Eurozone countries are disturbed by the tendency of growth of state debts which is observed lately. Big state debts have Greece, Spain, Portugal. The absolute sum of state debt of Italy has made 1, 4 trillion dollars and its debt of France has made 20 % internal national produce of France. Because of great volume of debts the European Union has created the International anti-recessionary fund in volume 750 billion Euro.

Without cardinal reforms the crash of Europe and its currency - Euro is inevitable. If the European Union does not solve this problem, the world's economic crisis will pass into the new phase.

One of the ways of overcoming of crisis is the direction of means for the state bonds of the problem countries by Central bank of Europe, but it is possible that the Euro will not suffice for all countries. The second way of overcoming of crisis is the creation of the uniform European budget as the uniform currency cannot exist without the uniform fiscal and budgetary policy and for which the real steps are not undertaken yet.

მსხვილფენა რქოსანი მესაქონლეობის განვითარების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები სამცხე-ჯავახეთის მხარეში



გურამ გველესიანი

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი,

მიხეილ ოქროშელიძე

მაგისტრი

რეფერატი

(ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია მეცხოველეობაში არსებული მდგომარეობა, 2000 -2008 წლის სტატისტიკური მონაცემებზე დაყრდნობით. შემოთავაზებულია საფურავე მარცვლეულის ნათესების ფართობების და მათი პროდუქტიულობის ანალიზი დინამიკაში. მოცემულია აგრეთვე მსხვილფენა რქოსანი პირუტყვის რაოდენობრივი მაჩვენებლები და სტრუქტურა, დარგის ეფექტურობა და პროდუქტიულობის დონე.

გამოვლენილია დარგში არსებული პრობლემები, და მოცემულია მათი გადაჭრის გზები.

სამცხე-ჯავახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობაში დიდ როლს ასრულებს მეცხოველეობა, კერძოდ, მესაქონლეობა. მიუხედავად შექმნილი სირთულეებისა, რეგიონში მაინც არ შენელებულა ინტერესი ამ დარგისადმი, რაც იმითაა განპირობებული, რომ იგი მეკარტოფილეობასთან ერთად შემოსავლის ძირითადი წყაროა. მესაქონლეობის განვითარება წარმოდგენილია საკუთარი წარმოების საკვები ბაზის გარეშე. საკვები ბაზა რეგიონში ძირითადად წარმოდგენილია ბუნებრივი საკვები სავარგულებით, თუმცა მათ გაუმჯობესებას და მოსავლიანობის ამაღლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა.

რეგიონში ნაკლები ყურადღება ექცევა შეზღუდული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტური გამოყენებას. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით, 2006-2008 წლებში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობი შემცირდა 54-დან 52 ათას ჰა-მდე (3,7%-ით), მათ შორის სახნავისა 39-დან 33 ათას ჰა-მდე (15,4%-ით), აქედან დამუშავებაში მყოფი მიწის ფართობი შემცირებულია 33-დან 26 ათას ჰა-მდე (21,2%-ით), დაუშვებელი კი პირიქით, მატულობს 6-დან 7 ათას ჰა-მდე (16,7%-ით). ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალი იყო 2007 წელს – 11 ათასი ჰა. ამავე პერიოდში სათიბებისა და საძოვრების ფართობი გაზრდილია 14-დან 18 ათას ჰა-მდე (28,6%-ით), მრავალწლიანი ნარგავებისა – 1,2%-ით. როგორც ჩანს, რეგიონში ადგილი აქვს ინტენსიური სავარგულის ნაკლებ ინტენსიურ სავარგულში გადასვლას, რაც არასასურველია.

რეგიონში პირუტყვის საკვები ბაზის ფორმირებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთწლიანი და მრავალწლიანი საკვები კულტურების წარმოებას. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, 2000 წელს ერთწლიანი კულტურების ნათესმა ფართობმა შეადგინა 15,0 ათასი ჰა, მრავალწლიანი კულტურების – 5,6 ათასი ჰა. ეს მაჩვენებლები 2008 წელს შესაბამისად შემცირდა 0,2 და 1,2 ათას ჰა-მდე, ანუ 75,0 და 4,7 ჯერ. იმავე პერიოდში, ერთწლიანი ბალახების საშუალო მოსავლიანობა გაზრდილია 0,9-დან 2,7 ტონამდე (3,0 ჯერ), მრავალწლიანი ბალახების – 2,3-დან 4,9 ტონამდე (2,1 ჯერ). რეგიონში ერთწლიანი ბალახების გაცილებით მაღალი მოსავლიანობა დაფიქსირდა 2007 წელს – 4,7 ტონა. იგი მნიშვნელოვნად ნაკლები იყო 2000 წელს – 0,7 ტონა. მრავალწლიანი ბალახების



მხრივ გაცილებით მაღალი იყო მოსავლიანობა 2008 წელს – 4,7 ტონა, მაშინ, როცა 2001 წელს – 2,1 ტონა შეადგინა. საკვლევ პერიოდში, როგორც ერთწლიანი (2,9 ტონა), ისე მრავალწლიანი ბალახების მოსავლიანობის მხრივ (2,9 ტონა) რეგიონი თითქმის არ ჩამოუვარდება საქართველოს საშუალო მაჩვენებლებს – 3,0 და 2,8 ტონა. მიუხედავად მოსავლიანობის ზრდისა, ნათესი ფართობების შემცირებამ 2000-2008 წლებში საბოლოოდ განაპირობა ერთწლიანი ბალახების წარმოების შემცირება 13,1-დან 0,4 ტონამდე (32,7-ჯერ) და მრავალწლიანი ბალახებისა 9,4-დან 6,0 ტონამდე (36,2%-ით).

საკვები მარცვლეული კულტურებიდან რეგიონში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ქერის წარმოებას. 2000 წელს ქერის ნათესმა ფართობმა შეადგინა 13,9 ათასი ჰა, 2008 წელს კი იგი შემცირდა 10,4 ჰა-მდე, ანუ 25,2%-ით. სამაგიეროდ, საშუალო მოსავლიანობა გაიზარდა 2-ჯერ (1,2-დან 2,4 ტონამდე). საკვლევ პერიოდში რეგიონი ქერის საშუალო მოსავლიანობით (1,7 ტონა) არააუ ჩამორჩება საქართველოს საშუალო მაჩვენებელს, არამედ აღემატება კიდევ (1,5 ტონა). ანალიზმა გვიჩვენა, რომ რეგიონში ქერის მოსავლიანობის უპირატესმა ზრდამ ნათესი ფართობის შემცირებასთან შედარებით უზრუნველყო მისი წარმოების გადიდება 2000 წელს 12,2 ტონიდან 2008 წელს 24,6 ტონამდე (2,0-ჯერ).

რეგიონში საკვები კულტურების წარმოებისა და მოსახლეობის მეცხოველეობის პროდუქტებით დაკმაყოფილებაში სერიოზული პრობლემებია. კერძოდ, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ფერმერულ მეურნეობებს ჯერ-ჯერობით არ აქვთ მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობები, რათა განახორციელონ საჭირო აგროზოოტექნიკური ღონისძიებები. არ ინერგება მარტივი ხასიათის მცირე მინდვრიანი და საკვები თესლბრუნვაც კი. ფინანსური პრობლემების გამო, მათ აკლიათ მინერალური სასუქები, პერბიციდები, შხამქიმიკატები. პირად მეურნეობებში საწარმოო პროცესები ატარებს ექსტენსიურ ხასიათს, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის დეფიციტის გამო ჭინარდება სამუშაოების აგროვადებში შესრულება, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებს საკვები და სასურსათო კულტურების მოსავლიანობაზე. სარწყავი სისტემის უმოქმედობის გამო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები ვერ იძლევიან სათანადო უკუგებას. სრულიად მომლიძია მეთესლეობა და სანაშენე საქმის წარმოება. მთლიანად უგულვებელყოფილია სილოსის, სენაჟის და ბალახის ფქვილის წარმოება, არ მუშაობს კომბინირებული საკვების ქარხნები, პირუტყვი ვერ იღებს შეწონასწორებულ ულუფას. ყოველივე ამან უარყოფითად იმოქმედა დარგის განვითარებაზე (ცხრილი 1).

ცხრილი 1

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა და სტრუქტურა

	წლები					2008 წ. %	
	2000	2005	2006	2007	2008	2000	2005
მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა სულ	98,6	92,6	121,0	101,6	88,6	89,8	95,7
მ.შ. ფური	59,0	57,8	60,4	54,8	49,5	83,9	85,6
ფურების ხეჯდრითი წილი მთლიან სულადობაში, %	59,8	62,4	49,9	53,9	55,9	-	-

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008. თბ., 2009, გვ. 6



ცხრილიდან ჩანს, რომ 2000-2008 წლებში რეგიონში პირუტყვის საერთო სულაღობა და მათ შორის ფურებისა ხასიათდება შემცირების ტენდენციით (89,8 და 83,9%). გაცილებით ნაკლებია კლებადობა 2005-2008 წლებში. პირუტყვის საერთო სულაღობაში ფურების ხვედრითი წილი მერყეობს 49,9-62,4%-ის ფარგლებში. ვფიქრობთ, ასეთი სტრუქტურა ხელს შეუწყობს ჯოგის ნორმალურ აღწარმოებას.

მეცხოველეობის საწარმოებში სამურნეო საქმიანობის ერთ-ერთი საშუალო მაჩვენებელია პირუტყვის პროდუქტიულობა, რომელიც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს პროდუქციის წარმოების საერთო დონეზე.

ანალიზმა გვიჩვენა, რომ საქართველოში 2008 წელს 2000 წელთან შედარებით ერთი ფურის საშუალო წლიური წველადობა გაზრდილია 27,6%-ით. სამცხე-ჯავახეთში ეს მაჩვენებელი გაცილებით მაღალია რესპუბლიკურ მაჩვენებელთან შედარებით, თანაც იგი ხასიათდება ზრდის ტენდენციით, 2008 წელს 2000 და 2005 წელთან შედარებით შესაბამისად მატულობს 24,9 და 18,5%-ით. ნამატის გამოსავლიანობის მიხედვით რეგიონს გაცილებით დაბალი მაჩვენებლები აქვს რესპუბლიკასთან შედარებით (ცხრილი 2).

ცხრილი 2

მსხვილი რქოსანი პირუტყვის პროდუქტიულობა და პროდუქციის წარმოება

1	2	წლები					2008 წ. %	
		2000	2005	2006	2007	2008	2000	2005
საქართველო								
ფურის საშუალო-წლიური მონაწველი ნამატის გამოსავლიანობა 100 ფურზე	კგ სული	935 87	1040 90	960 78	1170 82	1193 87	127,6 100,0	114,7 96,7
სამცხე-ჯავახეთი								
ფურის საშუალო-წლიური მონაწველი ნამატის გამოსავლიანობა 100 ფურზე	კგ სული	1110 82	1170 84	1075 75	1450 80	1387 85	124,9 103,6	118,5 100,0
საქართველო								
რძის წარმოება	ათ.	604,5	737,0	598,8	616,9	687,9	113,8	93,3
ხორცის წარმოება	ტ.	48,3	46,4	83,0	31,3	25,1	52,0	54,1
სამცხე-ჯავახეთი								
რძის წარმოება	ათ.	56,3	67,5	74,8	80,4	74,7	132,7	110,7
ხორცის წარმოება	ტ.	9,2	8,3	5,9	6,7	4,6	50,0	56,1

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2008. თბ., 2009, გვ. 75,78

რეგიონში, მიუხედავად ფურების სულადობის შემცირებისა პროდუქტიულობის ზრდის კვალობაზე რძის წარმოება 2008 წელს 2000 და 2005 წელთან შედარებით შესაბამისად გაზრდილია 32,7 და 10,7%-ით. ხორცის წარმოება (დაკლული წონით) კი შემცირებულია სანახევროდ – 50,0 და 56,1%-ით. საქართველოში საკვლევე პერიოდში რძის წარმოების საერთო ბალანსში რეგიონის ხვედრითი წილი შეადგენს 9,3-13,0%-ს. გაცილებით მაღალია რეგიონის წილი ამ მხრივ ხორცის წარმოებაში – 19,0-21,4%.

მესაქონლეობის პროდუქციის წარმოება რეგიონში გაცილებით მეტი იქნებოდა, რომ არა პირუტყვის დაცემა. სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში 2000-2008 წლებში სხვადასხვა მიზეზების გამო დაცემული მსხვილი რქოსანი პირუტყვის სულადობა გაიზარდა 29,3-დან 75,6 ათასამდე (2,6-ჯერ), მათ შორის რეგიონში 3,3-დან 5,3 ათას სულამდე (1,6-ჯერ). ეს კი უდავოდ მეტყველებს რეგიონში და მილიანად საქართველოში ვეტმომსახურების დაბალ დონეზე.

გამოკვლევებით დადასტურდა, რომ რეგიონში მოსახლეობის 1 სულზე გაანგარიშებით 2000 წელს წარმოებულია რძე -148 კგ, ძროხის ხორცი – 12,3 კგ, 2008 წელს შესაბამისად 163 და 7,9 კგ. ეს მაჩვენებლები გაცილებით მაღალია ამავე პერიოდში საქართველოს საშუალო მაჩვენებლებზე (2000 წელს 146 და 5,8, 2008 წელს – 158 და 5,8 კგ).

მეცხოველეობა სპეციფიკური დარგია და ამ დარგის პროდუქციის წარმოება მოითხოვს კაპიტალურ შენობა-ნაგებობებს. რეგიონის სინამდვილეში კი მეცხოველეობის პროდუქცია იწარმოება პრიმიტიულ სადგომებში. ბუნებრივია, ასეთ პირობებში შეუძლებელია ტექნიკისა და წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა. ფერმერებს ძირითადი სამუშაოების შესრულება უხდებოდა ხელით, რაც თავისთავად ზრდის პროდუქციის შრომატევადობას.

– რეგიონში მესაქონლეობის დარგის განვითარებისა და არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით, საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

– რეგიონის საწარმოო სპეციალიზაციის თავისებურებათა გათვალისწინებით კვლავაც პრიორიტეტულად უნდა ჩაითვალოს მეცხოველეობის, კერძოდ, მესაქონლეობის დარგის განვითარება;

– წვრილ კლესურ მეურნეობათა გამსხვილება და მათი უზრუნველყოფა კაპიტალური სადგომებით, რომლებიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე ტექნიკით;

– გაფართოვდეს საკრედიტო დაწრესებულებებიდან შეღავათიანი მოკლე და გრძელვადიანი კრედიტებისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა;


– გაიზარდოს ფერმერების სახელმწიფო მხარდაჭერა და მათი მაღალხარისხიანი სათესლე მასალითა და სანაშენე პირუტყვით უზრუნველყოფა;

– დაინერგოს ფერმისპირა, მინდვრად საკვებწარმოება, განსაკუთრებით ცილით მდიდარი კულტურების მოწყობით;

– შეიქმნას სერვის კოოპერატივები, რომლებიც დროულად უზრუნველყოფენ ფერმერულ მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით, მინერალური სასუქებით და შხამქიმიკატებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ორგანიზებულად დამზადებას და მათ რეალიზაციას;

– ამაღლდეს პირუტყვის ვეტმომსახურება, რომლის გარეშეც შეუძლებელია მათი ნორმალური ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაცვა სხვადასხვა ეპიზოტური დაავადებებისაგან;

– განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის სრული აღრიცხვა.


საქართველოს ეროვნული
სამეურნეო უნივერსიტეტი

Problems of development of animal husbandry and the ways of their solving in Samtskhe-Javakheti

G.Gvelesiani

Candidate of Agrarian Sciences

M.Okromelidze

Post graduate student

Abstract (Internet Version)

In the article, on the basis of statistical data of 2000-2008 is studied the current situation existing in animal husbandry. The analysis of the areas of sowed forage crops, their productivity and dynamics of production is made. There is also given the number and structure of horned cattle, branch efficiency and production level.

The problems, which are existing in branch are revealed and the ways of their decision are planned.

2. მესხოველეობა და საკვებნარმოება Cattle breeding and fudder production

**ქვემო ქართლის რეგიონის მეფრინველეობის
სამრეწველო საფუძველზე განვითარების პირსაქმები**

ლევან ყამარაული
ლოქტორანტი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

სტატიაში განხილულია მეფრინველეობის სამრეწველო საფუძველზე განვითარების ისტორიული მიმოხილვა. ნაშრომში დადასტურებულია, რომ ქვეყანაში კვერცხით და ქათმის ხორციით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა და ბაზრის ამ პროდუქციით გაჯერება შესაძლებელია მხოლოდ მეფრინველეობის ფაბრიკების მშენებლობით და განვითარებით, ნაშრომში გათვალისწინებულია ქვემო ქართლის რეგიონის მეფრინველეობის ფაბრიკების საწარმოო და ეკონომიკური მაჩვენებლების შეფასება. კვლევით დასტურდება, რომ მეფრინველეობის ფაბრიკებში „დილასა“ და „სავანეთში“ კვერცხის წარმოების მაჩვენებლები განსხვავებულია. პირველ ფაბრიკაში სადაც 205 ათასი ფრთით, ანუ 77%-ით მეტი კვერცხმდებელი ჰყავს, მეორე ფაბრიკასთან ერთ კვერცხ-მდებელზე 10 კვერცხით მეტს ღებულობენ, 10 კვერცხის თვითღებულება 12 თეთრით ნაკლებია, ხოლო რენტაბელობის დონე შედარებით მაღალი.

ჩვენს ქვეყანაში მეფრინველეობის განვითარებას გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, ძირითადად, წვრილი გლეხური და საკოლმეურნეო ხასიათი ჰქონდა. აღნიშნული პერიოდიდან იწყება მეფრინველეობის სამრეწველო საწყისებზე გადაყვანის მასშტაბური პროცესი, რაც, უპირველეს ყოვლისა, მეფრინველეობის ისეთი გიგანტი საწარმოების შექმნაში გამოიხატა, როგორც იყო კოდის (თეთრიწყაროს რაიონი) და მეჯვრისხევის (გორის რაიონი) მეფრინველეობის ფაბრიკები. პირველის საშუალო წლიური საწარმოო-საპროდუქტო სიმძლავრე 3200-3500 ტონა ფრინველის ხორცსა და 1,3 მლნ. ცალ კვერცხს შეადგენდა, ხოლო მეორე 40 მლნ. ცალი კვერცხისა და 800 ტონა ფრინველის ხორცის წარმოებაზე იყო გათვლილი. კოდის მეფრინველეობის ფაბრიკამ (რომელიც 1971 წელს შევიდა ექსპლუატაციაში), უკვე 1972 წელს აწარმოვა 920 ტონაზე მეტი ფრინველის ხორცი და 700 ათასზე მეტი კვერცხი.

80-იანი წლების შუა პერიოდისათვის საქართველოში სულ ირიცხებოდა 24,3 მლნ. ფრთა ფრინველი და იწარმოებოდა საშუალოდ 810-820 მლნ. ცალი კვერცხი. ტრადიციული სამეურნეო კავშირების მოშლის შედეგად მოიშალა გიგანტური მეფრინველეობის ფაბრიკების კონცენტრირებული საკვებით მომარაგების და წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის სისტემა, რაც გახდა ობიექტური მიზეზი მათი ფუნქციონირების შეწყვეტისა.

გამოკვლევებიდან ჩანს, რომ თუ შესასწავლ წლებში ქვემო ქართლის რეგიონში კვერცხის წარმოება 198,8 მლნ. ცალით, ანუ 5,5-ჯერ გაიზარდა, იმერეთის

რეგიონში შესაბამისად 31,2 მლნ. ცალით, ანუ 43,8%-ით შემცირდა, შიდა ქართლში რეგიონში 13,9 მლნ. ცალით, ანუ 52,3%-ით შემცირდა და ა. შ. მთლიანად საქართველოში აღნიშნულ წლებში კვერცხის წარმოება 76,1 მლნ. ცალით, ანუ 21,1 %-ით გაიზარდა.

მეფრინველეობის დარგის წინსვლაში უდიდესი როლი შეასრულა საწარმოებში უახლესი ტექნოლოგიური მოწყობილობის დანერგვამ და მაღალპროდუქტიული ფრინველის პოლანდიდან შემოყვანამ, შესაძლებელი გახდა დარგი მაღალრენტაბელური გამხდარიყო. აღნიშნულ საწარმოში განხორციელებულია პრინციპი: „ფრინველი—მანქანა“, რაც გულისხმობს საწარმოში კომპიუტერული მართვის სისტემის გამოყენებას.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ქვეყნის საინვესტიციო ბუმი იწყება უცხოური კაპიტალის შემოსვლით, მოწინავე ტექნოლოგიების შექმნით და შემოტანილი ტექნოლოგიების ათვისებით. ამავე დროს მნიშვნელოვანია უცხოური ინვესტიციებთან დაკავშირებული პოლიტიკა და კონკურენცია. უცხოური ინვესტიციების შემოსვლა, რა თქმა უნდა ცვლის ქვეყანაში არსებულ კონკურენციის პირობებს. ამასთან უცხოური ინვესტიციების შემოდინა დაკავშირებულია სახელმწიფოს სტრატეგიაზე, როდესაც სახელმწიფოს გააჩნია გარკვეული დარგების, რაიონების და საწარმოების განვითარების გეგმები.

თანამედროვე პირობებში ჩთ -ის განსაზღვრით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის პოლიტიკა მოიცავს ორ მხარეს: შიდა-ინვესტიციებთან უშუალოდ დაკავშირებულ პოლიტიკას და ვაჭრობის ლიბერალიზაციას; და გარე - მაკროეკონომიკურ პოლიტიკას. უპირველეს ყოვლისა ფულად, სავალუტო და საგადასახადო პოლიტიკას.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული საინვესტიციო პოლიტიკას უდიდესი როლი ენიჭება როგორც კერძო ისე სახელმწიფო კაპიტალის განვითარებაში. ის ქმნის საინვესტიციო გარემოს ქვეყანაში. სახელმწიფოს საინვესტიციო პოლიტიკა უნდა ითვალისწინებდეს შემდეგ მიმართულებებს:

- ინვესტიციებისათვის ხელსაყრელ გარემოს შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს კერძო სექტორის საინვესტიციო აქტივობის ზრდას;
- უცხოური და კერძო ადგილობრივი ინვესტიციების მოზიდვას საწარმოთა რეკონსტრუქციის მიზნით;
- სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საწარმოებისა და სოციალური სფეროს სახელმწიფო მხარდაჭერას.

ქვეყნის საინვესტიციო გარემოსთან ერთად საინტერესოა უცხოური ინვესტორების მიზნები:

- მოგების მაღალი ნორმის მიღება იმ პროდუქციის წარმოებაში, რომელიც დეფიციტურია ან ფასები გაცილებით მაღალია მსოფლიო ფასებზე ინვესტიციის მიმღებ ქვეყნის ბაზარზე;
- ისეთი საწარმოო ფაქტორების ან ბუნებრივი რესურსების გამოყენება რომელთა ფასები დაბალია მსოფლიო ფასებთან შედარებით, ან სხვა ქვეყნებში ეს ფაქტორები ან რესურსები შეზღუდულია;
- პოტენციურად ეფექტიანი საწარმოების შექმნა იაფად და მცირე ინვესტიციებით მაღალი მოგების მიღება;
- მორალურად მოძველებული და ეკოლოგიურად მავნე მოწყობილობების გამოყენება, რომელთა გამოყენებაც შეუძლებელია განვითარებულ ქვეყნებში;
- ადგილობრივი კაპიტალის დაბანდება ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც უცხოური ინვესტიცია, რათა თავი დაიცვან ხელისუფლების ქმედებებისაგან ან დამალონ დაუსაბუთებელი შემოსავლები.

აღნიშნულიდან გამომდინარე განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებს არაერთგვაროვანი პოზიცია უკავია უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ისინი ერთის მხრივ გამოხატავენ შეშფოთებას ეროვნულ ეკონომიკაში. უცხოური კაპიტალის მასიური დაბანდების შემთხვევაში, რამდენადაც ინვესტორები საკუთარ კონტროლს ანხორციელებენ მათ შეზღუდულ საწარმოო რესურსებზე, მეორეს მხრივ ინვესტორების შეზღუდვის პირობებში ხელი აღარ მოუწვდებათ უცხოურ კაპიტალზე და მოწინავე ტექნოლოგიებზე. მთელი რიგი ქვეყნები კრძალავენ ან მეტად ზღუდავენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელებას ისეთ დარგებში როგორცაა: ბუნებრივი რესურსების მოპოვება, საბანკო საქმე, პრესა, სამხედრო დანიშნულების და მედიკამენტების წარმოება და სხვა. თუ მაინც ხდება ამ დარგებში უცხოური კაპიტალის დაშვება აუცილებელია გარკვეული წინაპირობების დაწესება რათა დაცული იქნეს ქვეყნის ინტერესები.

ცხადია ეს სულაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფოებმა ხელი უნდა აიღონ უცხოურ ინვესტიციებზე, ეს იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტორია ქვეყნის განვითარებისათვის, რომ მასზე უარის თქმა გლობალიზაციის პირობებში ეკონომიკური



თვალსაზრისით მიუღებელია. პირიქით, მთელი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე.

ინვესტიციების წამახალისებელი ფაქტორია ბიზნესის გრელვადიანი დაკრედიტება სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. ამავე დროს გრძელვადიანი კრედისებრი არახელსაყრელია მოსალოდნელი მაღალი ინფლაციის პირობებში. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია მაკროეკონომიკური სტაბილიზაცია და მოსახლეობის დანაზოგების მოზიდვა საინვესტიციო პროცესში. რაც შეიძლება მოხდეს მოსახლეობისათვის საწარმოების აქციების მიყიდვით. აღნიშნული მიზნული უნდა იქნეს არა მხოლოდ ინვესტიციების მოზიდვის წყაროდ, არამედ როგორც მოსახლეობის შემოსავლების მიღების საშუალება.

ქვეყნის ეკონომიკაში ინვესტიციები შეიძლება განხორციელდეს უცხოური ინვესტიციების წილობრივი მონაწილეობით ან მთლიანად უცხოური კაპიტალით, საწარმოების, მათი ფილიალების და წარმომადგენლობის შექმნით.

განვითარებადი ქვეყნები ინვესტიციების წახალისების მიზნით ხშირად იყენებენ ფისკალური ხასიათის შეღავათებს, მათ შორის ყველაზე გავრცელებულია საგადასახადო და საბაჟო შეღავათები.

საგადასახადო შეღავათები მრავალნაირია და იგი შეიძლება მოქმედებდეს განსზღვრული დროით. როგორც “საგადასახადო არდადეგები”, ასევე ცალკეული გადასახადის შეღავათები. დარგის რეგიონის, საწარმოების მიმართულებით მათი გამოყენება ნიშნავს გარკვეული საბიუჯეტო დანაკარგებს, დანარჩენი შეღავათები დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან: მიწა, კავშირგაბმულობა, ტრანსპორტი, წყალი და სხვა.

საინტერესოა რამდენად უწყობს ხელს ასეთი შეღავათები ინვესტიციების მოზიდვას და რამდენად არღვევს საბაზრო კონკურენციის პირობებს საერთაშორისო ვაჭრობაში და ინვესტიციების მოზიდვაში.

განვითარებადი ქვეყნების ეკონომისტებს მიაჩნიათ, რომ ასეთი შეღავათები ხელს უწყობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას. ახალი ტექნოლოგიებისა და ტექნიკის დანერგვას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, შემოსავლების ზრდას და ა. შ.

შეღავათების შემოღება ხშირად განიხილება როგორც მაკომპენსირებელი ფაქტორი იმ შემთხვევაში, როდესაც მაღალია საინვესტიციო რისკი ან ქვეყანას არ გააჩნია მიზიდველი საინვესტიციო კლიმატი.

განვითარებადი ქვეყნების და რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ შეღავათები არცთუ ისეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს ფუნდამენტურ ფაქტორებთან შედარებით, რომლებიც განსაზღვრავს ინვესტიციების მიმართულებას.

საქართველოში საინვესტიციო სფეროს არეგულირებს 1996 წლის 14 ნოემბერს მიღებული კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“. ამ კანონის მიხედვით იგი არ ანიჭებს ადგილობრივ თუ უცხოელ ინვესტორს რაიმე განსაკუთრებულ შეღავათებს. უცხოელ ინვესტორებს უფლება აქვს მოახდინოს თავისი კაპიტალის ინვესტირება ნებისმიერი სახის მატერიალურ თუ არამატერიალურ აქტივებში. ეს უფლება შეზღუდულია მიწასთან დაკავშირებულ და გარკვეულ სპეციფიკურ საქმიანობაში, რომლებიც მოითხოვენ სპეციალურ ლიცენზიას შესაბამისი ორგანიზაციებიდან.

ასევე აღსანიშნავია ას გარემოება, რომ სულ უფრო ხშირად გაისმის იდეა იმის შესახებ, რომ უცხოელი ინვესტორებისათვის განსაკუთრებული შეღავათების შექმნა სარგებელზე მეტად ზიანის მომტანია როგორც ეროვნული, ისე მსოფლიო მუქარებისათვის. არგუმენტი მდგომარეობს შემდეგში – ერთი ქვეყნის მიერ უცხოური

ინვესტორისათვის სპეციალური შეღავათების შემოღება ერთგვარ პროვოცირებას ახდენს სხვა ქვეყნების მიერ ანალოგიური და უფრო მეტი შეღავათების შემოღებისას. საბოლოო ჯამში საგადასახადო და საბაჟო ნორმების ასეთი „კონკურენცია“ ღიდ ზიანს აყენებს დანარჩენი ქვეყნის ბიუჯეტებს. თუმცა ეკონომისტთა გარკვეულ ჯგუფს მიაჩნია, რომ მისაღებია გარკვეული პერიოდით ვთქვით 3-5 წლით მოგების გადასახადიდან განთავისუფლება. უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ეს მეთოდი ფართოდ გამოიყენება როგორც განვითარებადი ისე გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში და როგორც გამოცდილება გვიჩვენებს „საგადასახადო არდადეგებს“ დადებით მხარეებთან ერთად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებიც გააჩნია. კერძოდ: 1. მოქმედების მოკლევადიანი პერიოდი, რაც საკმაოდ ზღუდავს გრძელვადიან საინვესტიციო პროექტებს; 2. მისი მიღების დროს ინვესტორმა უნდა დააკმაყოფილოს გარკვეული მოთხოვნები; 3. ასეთი შეღავათები კარგად უნდა იყოს გამიზნული დარგების და რეგიონების მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ჩვენი აზრით უფრო მისაღები იქნება „საინვესტიციო საგადასახადო შეღავათის“ შემოღება, რაც ითვალისწინებს ფიქსირებულ აქტივებში განხორციელებულ ინვესტიციებზე მნიშვნელოვან საგადასახადო შეღავათებს. მისი უპირატესობა „საგადასახადო არდადეგებთან“ შედარებით შემდგომში მდგომარეობს: 1. „საინვესტიციო საგადასახადო შეღავათი“ ვრცელდება მხოლოდ ახალ ინვესტიციებზე; 2 ხელს უწყობს ფირმების გრძელვადიან ინვესტიციებს; 3 „საინვესტიციო საგადასახადო შეღავათი“ იწვევს ბიუჯეტის შემოსავლის ნაკლებ დანაკარგებს:

„საინვესტიციო საგადასახადო შეღავათის“ ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ კაპიტალტევადი საწარმოების ხელშეწყობის შედეგად ერთგვარად იზღუდება შრომატევად საწარმოთა საინვესტიციო პროექტები, რაც მეტად მნიშვნელოვანია საქართველოში არსებული უმუშევრობის პირობებში. მიუხედავად ამ ნაკლოვანებისა „საინვესტიციო საგადასახადო შეღავათის“ ამოქმედება აუცილებლად ხელს შეუწყობდა ეროვნული შემოსავლების ზრდას, მოსახლეობის ცალკეულ ჯგუფებს შორის მის უფრო თანაბრად გადანაწილებას, საზოგადოებაში არსებული სოციალური დაძაბულობის შემცირებას.

ქვეყნის განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივიდან გამომდინარე საინვესტიციო კლიმატის ფორმირებისას გასათვალისწინებელია ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორებისათვის ერთიანი პირობების შექმნის აუცილებლობა. მაგრამ ვინაიდან ჩვენი ქვეყანა ვერ უზრუნველყოფს ჯერ-ჯერობით უცხოელი ბიზნესმენებისათვის მყარ პოლიტიკურ-ეკონომიკურ პირობებს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემოღებული იქნეს უცხოური ინვესტიციებისათვის საგადასახადო შეღავათები.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების
დინამიკა
(მლნ აშშ დოლარი)

ცხრილი 1

	1996	2000	2005	2006	2007	2008
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები	3,7	131,2	499,8	1190,3	2014,8	1564,0

როგორც სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებიდან (ცხრილი 1) ჩანს 1996 წლიდან საქართველოში აღინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა, თუმცა 2007 წელთან შედარებით 2008 წელს ინვესტიციების შემოდინება მცირდება 450,9 მლნ აშშ დოლარით. კლების ერთ-ერთ უძლიერეს მიზეზს, ჩვენი აზრით, 2008 წლის აგვისტოს მოვლენები წარმოადგენს, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა რისკის ფაქტორი. ეს პროცესი გრძელდებოდა 2009 წელსაც, კერძოდ, 2008 წლის პირველ სამ კვარტალთან შედარებით 2009 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეცირდა 60,5 პროცენტით. თუმცა 2009 წლის მეორე და მესამე კვარტალში შეინიშნება ინვესტიციების ზრდის მყარი ტენდენცია.

2008 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ცხრილი 2

ქვეყანა	მლნ აშშ დოლარი	%
ვირჯინიის კუნძულები	156,8	10,0
ნიდერლანდები	135,9	8,7
არაბთა გაერთიანებული ემირატები	306,6	19,6
თურქეთი	164,5	10,5
გაერთიანებული სამეფო	148,9	9,6
აშშ	167,9	10,7
შვეიცარია	89,9	5,8
რუსეთი	26,3	1,6
ყაზახეთი	65,9	4,2
სხვა დანარჩენი ქვეყნები	301,3	19,3
სულ	1564,0	100,0

მონაცემები ცხადყოფს, რომ (ცხრილი 2) ქვეყნის ძირითადი ინვესტორები არიან არაბთა გაერთიანებული ემირატები, აშშ, თურქეთი და ვირჯინიის კუნძულები. საერთოდ კი ცხრილში მოტანილ ქვეყნებზე მოდის მთელი პირდაპირი ინვესტიციების 80,5 პროცენტი.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ეკონომიკის სექტორების მიხედვით

ცხრილი 3

ეკონომიკის სექტორი	2007		2008		სხვაობა 2007 წელთან შედარებით + -
	მლნ აშშ დოლარი	%	მლნ აშშ დოლარი	%	
სოფლის მეურნეობა	15,5	0,8	7,8	0,5	-7,7

თევზჭერა					
მრეწველობა	398,2	19,8	207,3	13,4	-190,9
ენერგეტიკა	362,6	18,0	294,8	18,8	-67,0
მშენებლობა	171,9	8,5	56,7	3,6	-115,2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	416,7	20,7	422,7	27,0	+6,9
უძრავი ქონება	30,5	1,5	277,8	17,8	+247,3
დანარჩენი მომსახურეობა	382,8	19,0	283,1	18,1	-99,7
ბანკი	136,9	6,8	8,5	0,5	-128,4
არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირის მიერ შესყიდული უძრავი ქონება	99,6	4,9	4,9	0,3	-94,7
სულ	2014,7	100,0	1563,6	100,0	-451,1

როგორც ავლინშნეთ, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ეკონომიკის დინამიურ განვითარებაზე, მათ შორის ინვესტიციების მოზიდვაზე, რის შედეგადაც ბოლო წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შემცირების ტენდენციით ხასიათდება. შესაბამისად მცირდება ინვესტიციები ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში გარდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობისა. (ცხრილი 3)

გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში ეკონომიკის გაჯანსაღების საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას უკავია. მისი წარმატებით განხორციელება ხელს უწყობს საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურებას, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას, კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას, მომსახურეობის ხარისხის გაუმჯობესებას და სხვა. სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია საქართველოში 1992 წელს დაიწყო და იგი ზორციელდება ტენდერის, აუქციონის, პირდაპირი მიყიდვის, ან იჯარა-გამოსყიდვის ფორმით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული მოვლენისა, 2008 წელს პრივატიზაციის პროცესი წარმატებით განხორციელდა. 2008 წელს წინა წელთან შედარებით პრივატიზირებული იქნა 247,3 მლნ ლოლარით მეტი სახელმწიფო ქონება, რაც ძირითადად ვაპრობებული იყო მსხვილი ობიექტების პრივატიზაციით. როგორცაა ფოთის პორტის ხანგრძლივი დროით იჯარით ვაცემა, თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნა ფოთთან, ქუთაისთან და სხვა. ამასთან, არარეზიდენტი ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ შესყიდული ქონება, რომელთა საქმიანობის პროფილი ამ ეტაპზე განსაზღვრული არ არის, აღნიშნულ პერიოდში 94,7 მლნ აშშ დოლარით, ანუ თითქმის 95 პროცენტით შემცირდა, რაც ჩვენი აზრით დასაფიქრებელია.

ეკონომიკის ცალკეული სექტორის ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის მიმზიდველი არ არის, კერძოდ, 2007 წელს სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილი მთელ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგინდა 0,7 პროცენტს, ხოლო 2008 წელს მხოლოდ 0,5 პროცენტს. ამასთან, ინვესტიციები 2008 წელს, 2007 წელთან შედარებით თითქმის 2-ჯერ შემცირდა და შეადგინა 7,8 მლნ აშშ დოლარი, რაც ეკონომიკის ამ სექტორში საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების აუცილებლობაზე მიგვანიშნებს. გარდა აღნიშნულისა სოფლის მეურნეობის განვითარების მიზნით მნიშვნელოვანი სახსრები

შემოედინება კრედიტებისა და გრანტების სახით. კერძოდ, 2009 წელს უცხოეთიდან მიღებული დაფინანსების წყაროებით და გრანტებით თანამონაწილეობითა და თანადაფინანსებით საინვესტიციო პროექტებისათვის განსაზღვრულია 27,4 მლნ ლარი, საიდანაც 3,4 მლნ ლარი საბიუჯეტო სახსრებია, ხოლო 24,0 მლნ ლარი კრედიტები და გრანტები. საინვესტიციო პროექტებიდან მნიშვნელოვანია „სოფლის მეურნეობის პროექტი“, რომელიც ითვალისწინებს 16,5 მლნ ლარის ინვესტიციებს, მათ შორის 1,3 მლნ ლარის საბიუჯეტო სახსრებს და 15,2 მლნ ლარს კრედიტებსა და გრანტებს. გარდა აღნიშნულისა სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტები როგორცაა „სამედიკალინური სისტემების რეაბილიტაცია“ (15,0 მლნ ლარი), „სამედიკალინური სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის ღონისძიებები“ (1,5 მლნ ლარი), „სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლება“ (22,4 მლნ ლარი), რომელთა განხორციელება უდაოდ ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

მიმდინარე ეტაპზე, საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის ხელისშემშლელ ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ:

- კანონმდებლობის სწორი ცვლილება;
- არაკეთილსინდისიერი კონკურენცია;
- მონოპოლიური სისტემების არსებობა;
- ჩრდილო და სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკური არასტაბილურობა;
- ელიტარული კორუფცია.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში დიდ როლს ასრულებს ორმხრივი საერთაშორისო საინვესტიციო ხელშეკრულებები, რომლის მიზანია მონაწილე ქვეყნების ინვესტიციების დაზღვევა. ამასთან საქართველო არის „მსოფლიო ბანკის“ ჯგუფის „მრავალმხრივი ინვესტიციების გრანტირების სააგენტოს“ (I) წევრი, რომლის მიზანია დახმარების გაწევა საინვესტიციო სადაზღვევო პროგრამებში. სააგენტო ითვალისწინებს დაზღვევას შემდეგ საკითხებში: არაკომერციული რისკების, ადგილობრივი ვალუტის კონვენტირების, ექსპროპრიაციის, ომების და სამოქალაქო არეულობების რისკების დაზღვევას. აგრეთვე საერთაშორისო შეთანხმებებით ტრადიციულად გათვალისწინებული რისკების, მაგალითად – ხელისუფლების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა დარღვევა ან მათზე უარის თქმა. საჭიროა ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება რათა ამალდღეს საინვესტიციო პროექტების სამედიკალინური დონე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ხელი აქვს მოწერილი მრავალ ქვეყანასთან შეთანხმებაზე: ინვესტიციების ურთიერთხელშეწყობის და დაცვის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების, ორმაგი დაბეგვრის აცილების, თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულებების შედეგად იქმნება მასში მონაწილე ქვეყნებისათვის ბიზნესის წარმოების ხელსაყრელი პირობები.

ასევე აღსანიშნავია, რომ ბევრმა ქვეყანამ (მაგალითად ევროკავშირი, შვეიცარია, კანადა, იაპონია, აშშ და სხვა) საქართველოს მიანიჭეს პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემის (შ) ბენეფიციარის სტატუსი, რომლის მიხედვით საქართველოს უფლება აქვს განახორციელოს ექსპორტი შედეგათიანი პირობებით, ეს კი ხელს შეუწყობს ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ზრდას და საექსპორტო დარგებში ინვესტიციების მოზიდვას. ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს „ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას“, „ყოვლისმომცველი“ გულისხმობს ვაჭრობის ფართო სექტორს, „ღრმა“ კი ტარიფების შემცირების გარდა, არასტატარო ბარიერების შემცირებას. ასეთ ვითარებაში საქართველომ საკუთარი სტრატეგია ევროპულ სამეზობლო პოლიტიკას უნდა დაუკავშიროს.



მთავარია იმ პრიორიტეტების განსაზღვრა, რომელიც ყველაზე მეტად შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას და უცხოური ინვესტიციების მოზიდვას.

პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებთან ერთად პორტფელური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობი ფაქტორია ფასიანი ქაღალდების მფორადი ბაზარი. ფასიანი ქაღალდების ბაზრის ძირითადი ფუნქციაა – კაპიტალის მოზიდვა, ანუ ფიზიკური და იურიდიული პირების (ადგილობრივი და უცხოური) დანაზოგებისა და ინვესტიციების წარმართვა ყოველდღიური და გრძელვადიანი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. აქციების და ობლიგაციების საჯარო შეთავაზება საწარმოების გაფართოების და მოდერნიზების, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის საშუალებას იძლევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული მიმართულებების განსაზღვრა და მსოფლიო მეურნეობაში დინამური ინტეგრირების შესაძლებლობების მოძებნა. ამ შესაძლებლობების გამოვლენა და გამოყენება დაკავშირებულია უცხოური ინვესტიციების მასიურ მოზიდვასთან.

The Main Principles for Improvement of Investment Environment In Georgia

G. Dogonadze

Doctor of Economical Science; Professor

J. Makharadze

Doctor of Economical Science; Professor

Abstract (Internet Version)

For formation of economy in developing countries it's necessary foreign capital which will be able to inculcate new technologies and modern methods of management and to encourage inner investments.

Since 1996 in Georgia it's noted growth of direct foreign investment, though compared with 2007 in 2008 investment level was decreased in 450,9 million dollars which mainly was caused by events in August. In the second and third quarters of 2009 the stable tendency for investment growth has been noted.

Analysis of different sectors of economy shows that agriculture is not attractive for foreign investments; for example in 2007 specific gravity on direct foreign investment in agriculture was 0,7% and in 2008 only 0,5% and was 7,8 million dollars, which shows necessity of improvement in investment environment.

7. სადაზღვევო ბაზარი Insurance Market

სადაზღვევო ბაზარი და მისი სრულყოფის ღონისძიებანი

აუთანდილ ლაფაჩი

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი,
ივანე ოქრომჭვლედიშვილი
საუ-ს დოქტორანტი

რეფერატი (ინტერნეტული ვერსია)

მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე მოწესრიგდა სადაზღვევო კანონმდებლობა და სადაზღვევო სისტემა, დაიწყო მოზიდული ჯამური პრემიის თანდათანობით მატება და შესაბამისად ანაზღაურებული ზარალის მოცულობის ზრდაც. ამავე დროს გაიზარდა დაზღვევის სახეობის სტრუქტურა, დასაქმებულთა რაოდენობა და ჩამოყალიბდა დაზღვევის სახელმწიფო რეგულირების სამსახური, რომელმაც მოკლე დროში საკმაოდ მოცულობითი და დიდი ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოები შეასრულა.

მიღწეული წარმატების მიუხედავად საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჯერ კიდევ მობიხოვს სრულყოფას, იგი ჯერ კიდევ იმყოფება დირექტოული ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უარყოფითი სადაზღვევო მენტალიტეტის ზვეავლების ქვეშ, ყველა სადაზღვევო კომპანია ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევის სრულ ანაზღაურებას, ადვილი აქვს არაჯანსაღ კონკურენციას მათ შორის.

სადაზღვევო სისტემაში არსებული პრობლემების დაუძლეველობის ძირითად მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს საერთოდ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურებისადმი. გარკვეულ ნევატიურ როლს თამაშობს საფინანსო-საბანკო სისტემაში ადრე არსებული ქაოსი და არასტაბილურობა.

ღლესდღეობით საბაზრო ურთიერთობები საკმაოდ დინამურად ვითარდება და როგორც საზოგადოება, ისე საბაზრო ეკონომიკის აგენტები თანდათანობით რწმუნდებიან, რომ დაზღვევა საბაზრო ეკონომიკის განვითარების განუყოფელი ნაწილია და მხოლოდ დაზღვევის მექანიზმის გამოყენებით შეიძლება დანაკარგის კომპენსირება, მიღწეულის შენარჩუნება და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფა.

მხოლოდ დაზღვევის საფუძველზეა შესაძლებელი მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესების შეუფერხებელი წარმართვა. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში სახელმწიფოსა და დამოუკიდებელი მეწარმეების ქონებრივი ინერესების დაცვა შესაძლებელია მხოლოდ დაზღვევის მეშვეობით. უფრო ხაიმედო და მყარი დამცავი მექანიზმი ჯერჯერობით საზოგადოებაში არ არსებობს.

საქართველოში დამკვიდრებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ფონზე უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება დაზღვევას, როგორც ეკონომიკის სტაბილიზაციის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს. დაზღვევა არის ორგანიზაციულ-საზოგადოებრივი მექანიზმი, რომელიც მოწოდებულია ადამიანის სიცოცხლეში

გაუთვალისწინებელი მოვლენების შერბილებით, დანგრეული სისტემის აღდგენის გზაზე უზრუნველყოს საზოგადოების კეთილდღეობა და მინიმუმამდე დაჰყავს შიშის ფაქტორი. იგი ასახავს საზოგადოების საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობათა განსაკუთრებულ სფეროს, რომელიც დაფუძნებულია რისკულ ხასიათთან. დამზღვევი სადაზღვევო მექანიზმის მეშვეობით იშორებს რისკებს და გადააქვს იგი სადაზღვევო კომპანიაზე სადაზღვევო პრემიის საფასურად. სადაზღვევო რისკი არის შესაძლებელ შემთხვევათა ერთობლიობა, რომელთა დადგომისას მზღვეველმა უნდა შეასრულოს თავისი ძირითადი ვალდებულება, გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან სადაზღვევო სახლავრი.

ცნობილია, რომ სადაზღვევო საქმიანობის სფერო მოიცავს კონფლიქტურ წინააღმდეგობებს, რომლებიც ბუნებრივი და საზოგადოებრივი ხასიათისაა – ერთის მხრივ არის წინააღმდეგობა ადამიანსა და ბუნებას შორის, ხოლო მეორეს მხრივ კი არ არსებობს საზოგადოებრივი წინააღმდეგობები. ეს ორივე იწვევს ნეგატიურ შედეგებს, რომლებიც შემთხვევითი ხასიათისაა. აქედან გამომდინარე, წარმოიქმნება რისკის ფაქტორი, რომელიც აუცილებელს ქმნის რომ დამყარდეს ურთიერთობები დამზღვევსა და მზღვევლს შორის, რაც გამოიხატება სადაზღვევო დაცვის ხასით. ჩნდება შესაძლებლობა სადაზღვევო რისკის წინასწარ განსჭვრეტისა და თავიდან აცილებისა.

საქართველოში სადაზღვევო კანონმდებლობის, სისტემისა და სადაზღვევო ბაზრის ჩამოყალიბება სათავეს იღებს 1997 წლიდან. ამ დროს დაწყებული სადაზღვევო რეფორმა ქვეყანაში ცივილიზებულ პრინციპებზე დაფუძნებულ სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბებასა და განვითარებას იხსნავდა მიზნად. ხოლო, დაზღვევის სფეროს სამართლებრივი ბაზის შექმნა დამოუკიდებელ საქართველოში დაიწყო ჯერ კიდევ 1991 წლიდან, რაც ადასტურებს იმდროინდელი მთავრობის დანიტერესებას სადაზღვევო სფეროს განვითარებაში. ამ დროისათვის საქართველოში ღრმა ეკონომიკური კრიზისი იყო და ბუნებრივია, რომ სახელმწიფო ცდილობდა სავალდებულო ფორმების განვითარებას. 2005 წლის მდგომარეობით მოქმედებდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ ლიცენზირებული 16 სადაზღვევო კომპანია და 13 სადაზღვევო ბროკერი.

სადაზღვევო ბაზრის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე ლიდერის პოზიციებს ამ უკანასკნელ წლებში ინარჩუნებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“. იგი, საქართველოში პირველი კერძო სადაზღვევო კომპანიაა. აღნიშნული კომპანია, გარდა სადაზღვევო ოპერაციებისა, აწარმოებს გადაზღვევებს და ამ მიმართულებით საკმაოდ წარმატებით თანამშრომლობს უცხოეთის მსხვილ გადაზღვეველ კომპანიებთან. „ალდაგი“ წლების მანძილზე საკმაოდ წარმატებით ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობას.

მეორე სადაზღვევო კომპანია, რომელიც ეროვნული დაზღვევის ერთ-ერთ ლიდერს წარმოადგენს, არის სადაზღვევო კომპანია „იმედი“. აღნიშნული კომპანია 1995 წელს ჩამოყალიბდა ბერმუდის კომპანიასთან ერთად. 1998 წლიდან კომპანიის მფლობელია ქართულ-გერმანული საფინანსო ჰოლდინგური ჯგუფი. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ფუნქციონირებად სადაზღვევო კომპანიებს შორის საწესდებო კაპიტალის მოცულობით „იმედი“ უდიდესია და მისი საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2,5 მილიონ აშშ დოლარს. პირველად საქართველოში აღნიშნულმა კომპანიამ მოჰკიდა ხელი საბანკო და საფინანსო რისკების დაზღვევას, რომელიც ითვალისწინებს ბანკების დაცვას მარცვისა და თაღლითობისაგან. აღნიშნულმა კომპანიამ ასევე ფართოდ დაიწყო საქმიანობა სიცოცხლისა და საპენსიო დაზღვევის მიმართულებით. ამ ყველაფერმა ხელი შეუწყო მის ჩამოყალიბებას კონკურენტუნარიან და ძლიერ მზღვეველად.

საქართველოში სადაზღვევო ბაზრის ასეთ მაღალ დონეზე განვითარების მიუხედავად სოფლის მეურნეობაში სადაზღვევო საქმიანობაზე თითქმის ყველა სადაზღვევო კომპანია თავს იკავებს. საერთოდ, სოფლის მეურნეობაში ცნობილია დაზღვევის ორი ფორმა მოსავლის დაზღვევა და ხარჯების დაზღვევა (საბანკო სესხების, კრედიტების და ა.შ.). ქართული სადაზღვევო კომპანიები სოფლის მეურნეობაში საქმიანობისას ძირითადად მეორე ფორმას ირჩევენ, დაბალი რისკების გამო, აღნიშნული კი ძალზე უშლის ხელს ამ დარგის განვითარებას.

მას შემდეგ, რაც ასე თუ ისე მოწესრიგდა სადაზღვევო კანონმდებლობა და სადაზღვევო სისტემა, დაიწყო მოზიდული ჯამური პრემიის თანდათანობით მატება და შესაბამისად ანაზღაურებული ზარალის მოცულობის ზრდაც. ამავე დროს გაიზარდა დაზღვევის სახეობის სტრუქტურა, დასაქმებულთა რაოდენობა და ჩამოყალიბდა დაზღვევის სახელმწიფო რეგულირების სამსახური, რომელმაც მოკლე დროში საკმაოდ მოცულობითი და დიდი ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოები შეასრულა. თუმცა ადვილად შეიძინევა ის, რომ საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებობს უამრავი პრობლემა. აღნიშნულის გამოსწორება დადებით ზეგავლენას მოახდენს საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებაზე და ამ მიმართულებით ინვესტიციების მოზიდვაზე. ეს პრობლემები შემდეგია:

- სადაზღვევო ბაზრის განვითარების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას წარმოადგენს მზღვეველთა საკუთარი სახსრების უკმარისობა, რაც უდიდეს ბარიერს წარმოადგენს სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის.
- არ გაგვარდება დაზღვეულთა დანაკარგების გამოთვლის მეთოდები და მათი გადაფარვის წყაროების გამოძებნის ხერხები. ეს ხელს უშლის როგორც სადაზღვევო კომპანიების განვითარებას, ისე ფერმერებისა და აგროფირმების ნდობის გაძლიერებას სადაზღვევო კომპანიების მიმართ.
- სახელმწიფოს მხრიდან ასევე არ ექცევა სათანადო ყურადღება ინვესტირების წესებს და ფულადი სახსრების განთავსების დივერსიფიკაციის პრინციპებს, რამაც უნდა განაპირობოს სადაზღვევო კომპანიების სტაბილური შემოსავლებით უზრუნველყოფა, ხოლო ზემოთ აღნიშნულის მოუწესრიგებლობა განაპირობებს სადაზღვევო ბაზრის ქაოსურ მდგომარეობას.
- სადაზღვევო კომპანიები ვერ უზრუნველყოფენ მასობრივი შემთხვევების სადაზღვევო დაცვას და მაღალი რისკების დაზღვევას, სადაზღვევო პორტფელის დასაბალანსებლად ისინი მიმართავენ გადამზღვეველ კომპანიებს, რაც იწვევს გადამზღვეველის მიერ გადამზღვეველზე სადაზღვევო პრემიის გარკვეული ნაწილის გადაცემას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებელზე.
- ქვეყანაში რაიმე სახის დესტაბილიზაცია ადეკვატურ რეაგირებას იწვევს ეკონომიკის ყველა დარგში და მათ შორის დაზღვევაშიც, განსაკუთრებით აღსანიშნავია ვალუტის არასტაბილურობა, რომელიც ძირს უთხრის არა მარტო დაზღვევას, არამედ მთელი ქვეყნის ეკონომიკას. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ქვეყანაში შეიქმნას სტაბილური და მდგრადი პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო სადაზღვევო საქმის შესაბამისი განვითარებისათვის.

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას პრობლემები სადაზღვევო სფეროში, აუცილებელია სახელმწიფოს ხელშეწყობა ეროვნული დაზღვევისადმი. მართალია, დღევანდელ დაზღვევაში ბევრი პრობლემაა, მაგრამ მისი თანამედროვე სახის შექმნაში უდიდესი როლი შეასრულა სახელმწიფომ და მის შემდგომ განვითარებაშიც აუცილებელია სახელმწიფოს ჩარევა.

მიღწეული წარმატების მიუხედავად საქართველოს სადაზღვევო ბაზარი ჯერ მოითხოვს სრულყოფას, იგი ჯერ კიდევ იმყოფება ღირებულებითი ეკონომიკისათვის დამახასიათებელი უარყოფითი სადაზღვევო მენტალიტეტის ზეგავლენის ქვეშ. ყველა სადაზღვევო კომპანია ვერ უზრუნველყოფს სადაზღვევო შემთხვევის სრულ ანაზღაურებას, ადგილი აქვს არაფაქტობრივ კონკურენციას მათ შორის.

სადაზღვევო სისტემაში არსებული პრობლემების დაუძლეველობის ძირითად მიზეზებს შორის უნდა გამოიყოს საერთოდ ქვეყანაში შექმნილი მძიმე პოლიტიკური და ეკონომიკური პირობები, საზოგადოების მხრიდან ნდობის დაბალი ხარისხი სახელმწიფოსა და საბაზრო სტრუქტურებისადმი. გარკვეულ ნეგატიურ როლს თამაშობს საფინანსო-საბანკო სისტემაში ადრე არსებული ქაოსი და არასტაბილურობა.

როგორც ჩანს, საზოგადოების სადაზღვევო დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა სადაზღვევო ბაზრის გარკვეული ფორმირება და გადანაწილება. სადაზღვევო ბაზრის ფორმირებისა და განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ერთი მხრივ, სადაზღვევო მომსახურებაზე საზოგადოებრივი მოთხოვნის არსებობა, ხოლო მეორეს მხრივ კი მზღვეველთა მხრიდან ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება.

Insurance Market and Activities for Its Perfection

Avtandil Lapachi

Candidate of Economic Sciences

Ivane qromchedlishvili

Ph D Candidate of GSAU

Abstract

(Internet Version)

Since insurance law and insurance system was improved in Georgia it has begun gradual growth of total prizes and consequently capacity of paid money. Besides it was increased insurance structure, number of employed people and it was founded state insurance regulation service, which could carry out great organizational-methodic activities for making alive insurance system.

Though there is some success, insurance market is far from perfection, as not all insurance companies can provide full insurance repayment and there is not good competition among insurance companies.

Hard political and economic conditions in Georgia are also main problems for insurance system; population does not have trust toward state and market structure. Besides unstable situation in bank finance system has negative influence on these processes.

9. უწყვეტი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall

ეკონომიკა და ბიზნესი Economics and Business

უძღვება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, აკადემიკოსი
ომარ ქეშელაშვილი

ლექცია 3. ეკონომიკის ზოგადი საფუძვლები

ნაწილი 3.1. ბაზარი

ბაზარი არის მწარმოებელთა და მომხმარებელთა ურთიერთზემოქმედების ხერხი და კავშირი, რომელიც ემყარება საფასო სიგნალების დეცენტრალიზებულ, უპიროვნო მექანიზმს. ზოგადი განმარტებით ბაზარი განისაზღვრება, როგორც სტიქიური წესრიგი.

ბაზრის წარმოშობა უშუალოდ უკავშირდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების აღმოცენებას.

არსებობს ბაზრის 5 ნიშანი:

1. ბაზარი გულისხმობს მისადმი თავისუფალ ხელმისაწვდომობას და მისგან თავისუფალ გამოსვლას, ამიტომ მონაწილეთა რაოდენობა ბაზარზე შეზღუდული არ არის;
2. რამდენადაც ბაზარზე მონაწილეობს საქონელმწარმოებელთა დიდი რაოდენობა, იმდენად თითოეული მათგანის მიერ დაწესებული ფასი მნიშვნელოვან ზეგავლენას ვერ ახდენს საერთო საბაზრო ფასზე;
3. ბაზარზე არსებობს სრული თავისუფლება მატერიალურ-ფინანსური და ადამიანური ფაქტორების გადაადგილებაში;
4. ბაზარმა ყველა მისი მონაწილისათვის თანაბარი შესაძლებლობები უნდა უზრუნველყოს. ამიტომაც მიღებული თითოეულის უფლება სრულ ინფორმირებულობაზე მიწოდებისა და მოთხოვნის შესახებ, ფასებზე, საქონელთა სპეციფიკაზე და ა.შ.;
5. თავისუფალ ბაზარზე გამორიცხულია რაიმე პრივილეგიები გამყიდველთა ცალკეული ჯგუფი-სათვის.

ბაზარს გააჩნია შემდეგი მთავარი ეკონომიკური ფუნქციები:

- ▶ ფასწარმოქმნის;
- ▶ ინფორმაციის;
- ▶ წარმოების თვითრეგულირების;
- ▶ მასტიმულირებელი;
- ▶ მარეგულირებელი;

- ▶ ეკონომიკური ბაზრის;
- ▶ ექვივალენტურობის;
- ▶ მეურნეობრივი საქმიანობის დემოკრატიზაციის.

თავისუფალი (კლასიკური) ბაზარი შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

- მონაწილეების შუხლუდავი რაოდენობა;
- თავისუფალი კონკურენცია;
- საზოგადოების ყველა წევრისათვის თავისუფალი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი სამეურნეო საქმიანობისადმი;
- წარმოების ფაქტორთა აბსოლუტური მობილურობა, კაპიტალის გადაადგილების შუხლუდავი თავისუფლება;
- მოგების ნორმის, მოთხოვნის, მიწოდების და სხვათა შესახებ აბსოლუტური ინფორმაციულობა;
- თავისუფალი კონკურენციის არც ერთ მონაწილეს არ შეუძლია უშუალო ზეგავლენა მოახდინოს სხვის გადაწყვეტილებაზე არაეკონომიკური მეთოდებით;
- ფასები ყალიბდება სტიქიურად, თავისუფალი კონკურენციის პირობებში;
- არ არსებობს მონოპოლიზმი და სახელმწიფო რეგულირება.

ამ ნიშნების მხედველობაში მიღებით დგინდება, რომ ბაზარი არის თვით-რეგულირებადი სისტემა.

არსებობს კიდევ: მიზნობრივი ბაზარი, რეგიონული ბაზარი, შავი ბაზარი (ყალიბდება კანონმდებლობის დარღვევით).

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა არ ნიშნავს თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბებას. სინამდვილეში სრული თავისუფლება და შესაბამისად სრული ეკონომიკური თავისუფლება არ არსებობს, თუმცა უნდა იყოს საკმარისი ეკონომიკური თავისუფლება, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მიიღწევა რეგულირებული ბაზრის განვითარებით.

ბაზრის სისტემა.

ობიექტების მიხედვით ბაზარი იყოფა:

- ✓ საქონლის და მომსახურების;
- ✓ სამუშაო ძალის;
- ✓ წარმოების საშუალებათა (კაპიტალის);
- ✓ ფასიანი ქაღალდების, ვალუტის;
- ✓ მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევათა და პატენტების;
- ✓ ინფორმაციის;
- ✓ მიმოქცევის საშუალებათა;
- ✓ ლიცენზიათა ბაზარი და ა.შ.

ტერიტორიული ნიშნით განასხვავებენ: ადგილობრივ და რეგიონულ, საშინაო და საგარეო ბაზარს, ეროვნულ და მსოფლიო ბაზრებს;

გაჯერებულობის მიხედვით განასხვავებენ: წონასწორობით, დეფიციტურ და ჭარბ ბაზრებს.

გრეგორი მენქიუ განმარტავს **კონკურენტულ ბაზარსაც** – ეს არის ბაზარი, რომელზეც მრავალი მყიდველი და მრავალი გამყიდველია და თითოეული მათგანი უმნიშვნელო გავლენას ახდენს საბაზრო ფასზე.

ბაზრის აუცილებელი რეგულატორია კონკურენცია და ფასების მექანიზმი.

ნაწილი 3.2. მოთხოვნა და მიწოდება

მოთხოვნა ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი კრიტერიუმია, შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოდის საბაზრო ეკონომიკის და შესაბამისად წარმოების მარეგულირებლის როლში.

ამ შემთხვევაში, ადამიანის მოთხოვნა ანუ მოთხოვნილება გაიგება არა მარტივად, არამედ, როგორც გადახდისუნარიანი მოთხოვნილება. სწორედ ამ ფორმულირებაში აკუმულირდება ზოგადად, ეკონომიკაში ხმარებული „მოთხოვნა“.

მოთხოვნა – ისეთი გარკვეული რაოდენობისა და ხარისხის პროდუქტზე მოთხოვნილებაა, რომლის ყიდვის სურვილიცა და უნარიც (შესაძლებლობაც) აქვს მომხმარებელს. ყიდვის მოცულობა (მასა), ანუ მოთხოვნის სიდიდე უშუალოდ გასაყიდი პროდუქტის ფასსა და მომხმარებლის შემოსავალზეა (უნარზე) დამოკიდებული.

სხვანაირად, მოთხოვნა საქონელზე, ბაზარზე წარმოდგენილი მოთხოვნილებაა, რომელიც განისაზღვრება ამა თუ იმ საქონელთა რაოდენობით, რომლის შეძენაც მომხმარებლებს შეუძლიათ არსებული ფასებისა და ფულადი შემოსავლების პირობებში.

საქონლის ფასსა და საქონელზე მოთხოვნის სიდიდის მუდმივად განმეორებად უკუკავშირს **მოთხოვნის კანონს** უწოდებენ.

მოთხოვნა უკავშირდება მიწოდებას. **მიწოდება** იმ საქონლის რაოდენობაა, რომელსაც გამყიდველი სთავაზობს მომხმარებელს, კონკრეტულ ფასად.

ისე, როგორც მოთხოვნა, მიწოდებაც საქონლის ფასების დონეზეა დამოკიდებული. მიწოდების სიდიდე ძირითადად განისაზღვრება ფასების დონით.

მიწოდების რაოდენობა არის საქონლის ის რაოდენობა, რომლის გაყიდვის სურვილი შესაძლებლობასც აქვს გამყიდველს.

საერთოდ, მიწოდების სისიდიდე ცვალებადობას განიცდის, რასაც განაპირობებს: რესურსების ფასები, ტექნოლოგიები, მოლოდინი, გამყიდველთა რაოდენობა.

მისაწოდებელი ანუ სარეალიზაციო საქონელი ხუთ ძირითად ჯგუფად იყოფა: ნედლეული (რესურსი), მოხმარების საგნები, საშუსაო ზალა, ფულადი კაპიტალი, პირადი მოხმარების საგნები, მომსახურება.

სტაბილურ კავშირს, რომელიც ვლინდება იმ კანონზომიერების, რომ ფასის მომატების შესაბამისად იზრდება საქონლის მიწოდების სიდიდე, ხოლო ფასის შემცირებას თან სდევს საქონლის მიწოდების კლება – ეწოდება **მიწოდების კანონი**.

მიწოდებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები: რესურსების ფასები; წარმოების ტექნოლოგიის დონე; გადასახადები და დოტაციები; სხვა საქონლის ფასები; მოლოდინი (პროგნოზი); მიწოდებელთა (გამყიდველთა) რაოდენობა ბაზარზე; საქონლის რეალიზაციის მოცულობა (ფაქტიურ ფასებში); ეკონომიკური კონიუქტურა; კონკურენციის დონე; საგადასახადო პოლიტიკა (მექანიზმი); ვაჭრობის განვითარების დონე და სხვ.

მიწოდებისა და მოთხოვნის მრუდებს მხოლოდ ერთი გადაკვეთის წერტილი აქვს, ამას საბაზრო წონასწორობა ჰქვია. ეს ისეთი სიტუაციაა, როდესაც მიწოდება და მოთხოვნა გაწონასწორებულია.

ფასს კი, რომელიც ამ წერტილში (დროს) გარკვეულ მომენტში მყარდება წონასწორობის ფასი ეწოდება. ანუ, ფასი, რომელიც აწონასწორებს მიწოდებასა და მოთხოვნას.

საქონლის მიწოდებისა და მოთხოვნის რაოდენობა წონასწორობის დროს არის წონასწორული რაოდენობა.

ნაწილი 3.3. მომხმარებლის არჩევანის თეორია

მეცნიერები ახლა ფართოდ განიხილავენ ახალ თეორიას (რომელიც ეკონომიკის შეცვლის ეტაპს მოასწავებს) – მომხმარებლის არჩევანის თეორიას. ეს არის ადამიანის მიერ გადაწყვეტილების მიღების აღწერა. ეს თეორია მხოლოდ მოდელია, ხოლო მოდელი სრულიად რეალისტური არც უნდა იყოს.

მომხმარებლის არჩევანის თეორია მიგვითითებს იმ არაცხად ფსიქოლოგიურ პროცესზე, რომლის დროსაც მომხმარებელმა კარგად იცის, რომ მისი არჩევანი შეზღუდულია თავისივე ფინანსური რესურსებით და ამ შეზღუდვების პირობებში იგი მაქსიმალურად ცდილობს კმაყოფილების უმაღლესი დონის მიღწევას. ეს თეორია ამ არაცხადი ფსიქოლოგიური პროცესის ცხადი ეკონომიკური ანალიზის საშუალებას იძლევა.

მომხმარებელთან დაკავშირებით ერთი ახალი, საინტერესო დამოკიდებულება უნდა აღინიშნოს: ვაშინგტონის ეკოლოგიური ცენტრის „ვოლდვოქ ინსტიტუტის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ პლანეტას ახალი უმთავრესი საფრთხე - „სამომხმარებლო ციებ-ცხელება“ ემუქრება. განვითარებულ ქვეყნებში გამოდმებით იზრდება მოხმარება. ამ პროცესის შედეგი კი ზედმეტი წონით შეწუხებული ადამიანები, მუდმივად ახალ საქონელზე ნადირობის გამო დაგროვილი ვალები და გარემოს დაბინძურებაა. ეს ყველაფერი კი ცხოვრების ხარისხის გაუარესებაზე მეტყველებს.

მომხმარება იზრდება, რადგან ის თვითმიზნად იქცა, მაგრამ როცა ამერიკელებს ეკითხებიან, ბუნებრივი არიან თუ არა, ამ კითხვას დადებითად მოსახლეობის მხოლოდ მესამედი პასუხობს, იმდენივე, რამდენიც 1957 წელს – იმის მიუხედავად, რომ შემოსავლები ამ პერიოდში ორჯერ გაიზარდა.

მომხმარებელთა ზრდა იმ რიტმს ემორჩილება, რომელსაც პლანეტა ვეღარ გაუძლებს. ამას გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი რესურსებისა და ტყეების განადგურება, გრუნტის წყლების ჰორიზონტების დეგრადაციაც ადასტურებს.

მკვლევართა განმარტებით, დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა გააკონტროლოს მოხმარება.

ჭურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები)

I. ზოგადი მიწათმოქმედება—ნიადაგის დამუშავება, ნათესების სტრუქტურა და ნათესების მოვლა, ინტენსიური მიწათმოქმედების სისტემა, თესლმცოდნეობა, პროგრამირებული მოსავლის მიღება.

II. მეცენარეობა (კერძო მიწათმოქმედება)—მარცვლეული კულტურები, მარცვლეულ-პარკოსანი კულტურები, ბოსტნეული და ბალნეული კულტურები, კარტოფილი, თამბაქო, მზესუმზირა, შაქრის ჭარხალი, ეთერზეთოვანი კულტურები, საკვები კულტურები და საკვებწარმოების სისტემა, ვაზი, ხეხილოვანი კულტურები, ჩაი, ციტრუსები, სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურები.

III. სელექცია, გენეტიკა, მეთესლეობა

IV. ნიადაგმცოდნეობა და ნიადაგის განოყიერების სისტემა.

V. მელიორაცია და ირიგაცია.

VI. მეცენარეთა დაცვა და მისი ინტეგრირებული სისტემა.

VII. მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია.

VIII. აგროსატყეო-სამელიორაციო ღონისძიებები.

IX. ნიადაგის ეროზია და მასთან ბრძოლის ღონისძიებები.

X. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიები.

XI. მეცხოველეობის ინტენსიური სისტემები.

XII. ვეტერინარულ ღონისძიებათა სისტემა.

XIII. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავება და შენახვა.

XIV. აგრარული ეკონომიკა და ბიზნესი

დარგობრივი და რეგიონული ეკონომიკა; აგრობიზნესი; აგრომარკეტინგი; აგრომენეჯმენტი; ინსტიტუციონალური სისტემა და ეკონომიკური მექანიზმი; თეორია და მეთოდოლოგია; ინტერგრაცია და ოპტიმიზაცია; ფინანსები, კრედიტი, ფასწარმოქმნა; საბანკო ურთიერთობები; საგადასახადო სიტემა; სერვისი და ინფრასტრუქტურა; აგროტურიზმი; აგრარული ბაზარი; სასურსათო უსაფრთხოება; სამეურნეო რისკი; პროგნოზირება და მოდელირება; მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი; საწარმოო-რესურსული პოტენციალი; განათლება და მეცნიერება; მეცნიერტევადობა; ინოვაციური ეკონომიკა; ინვესტიციური გარემო; ეკოლოგია და ბუნება-თსარგებლობა; აგრარული სექტორის სამართლებრივი უზრუნველყოფა; ინფორმაციული ტექნოლოგიები და უზრუნველყოფა; საქმიანი ურთიერთობების ეთიკები; აგრარული ეკონომიკური ფსიქოლოგია; შრომის ფსიქოლოგია;

სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში.

ნორმატიულ-საცნობარო მასალები.

საკონსულტაციო დარბაზი.

სადისკუსიო კლუბი.

უწყვეტი აგრარული ეკონომიკური განათლების სალექციო ციკლი.

საინფორმაციო მაცნე.

აგრარული და აგროეკონომიკური ტერმინოლოგია.

საზღვარგარეთელ მეცნიერთა შრომები.

სხვადასხვა.

XV. ეკონომიკური თეორია.

XVI. გლობალიზაციის პრობლემები და გლობალიზაციის ტექნოლოგიები.

XVII. საბაზრო ურთიერთობები.

XVIII. ეკონომიკური უსაფრთხოება.

XIX. ეკონომიკური მეთოდოლოგია და მეთოდიკა.

XX. სოციალური და დემოგრაფიული პრობლემები.

XXI. საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობები.

XXII. მსოფლიო ეკონომიკა.

XXIII. საერთაშორისო ორგანიზაციები და კონვენციები.

- XXIV. ადამიანური რესურსები, მისი ეკონომიკა და მენეჯმენტი.
- XXV. ადამიანური ცოდნის საექსპორტო სისტემები და ზელოვნური ინტელექტი.
- XXVI. მოხმარების რაციონალიზაცია.
- XXVII. მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები.
- XXVIII. რეკრეაციული რესურსების გამოყენება.
- XXIX. მეორადი ნედლეულის გამოყენება და უნარჩენო ტექნოლოგიები.
- XXX. ელექტრონული მართვის პრობლემები.

ამის გარდა ჟურნალს აქვს საგანგებო განყოფილებები:

- 1. მთავარი რედაქტორის სვეტი.
- 2. სოფლის მეურნეობის დარგის სახელოვანი მეცნიერები.
- 3. გამოჩენილი ავტორიკოს-ეკონომისტი მეცნიერები.
- 4. სიტყვა აკადემიკოსს.
- 5. კომპეტენტური აზრი.
- 6. ახალგაზრდა მეცნიერის პოზიციები.
- 7. და სხვა.

მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ:

- 1. სტატიის მოცულობა-5-6 გვ-მდე; ნაბეჭდი (LitNusx- 11; 1,0 ინტერვალზე. სათაური LitMavrPS -12, ფორმატი Page Setup-ში: Top 2.0; Left 2.5; Bottom 5.0; Right 4.5.); ერთი ეგზემპლარი და CD-ზე. არ გადატვირთოთ დიაგრამებითა და სქემებით, ცხრილები უნდა იყოს კომპაქტური, ვერტიკალურად ნაბეჭდი.
- 2. სტატიას უნდა ახლდეს **რეზიუმე** (ინტერნეტული ვერსია-სტატიის მოკლე შინაარსი-0,5-1.0 გვერდამდე და არა ანოტაცია ან რეზიუმე) ქართულად და ინგლისურად;
- 3. სტატია წარმოადგინეთ კვარტლის პირველ თვეს.

შინაარსი – CONTENTS

1. ეკონომიკა და ბიზნესი Economics and Business ----- 6
ოზარ ქეშელაშვილი, მნიკოლეიშვილი
 აგრარული წარმოების ოპტიმიზაცია სამთო რეგიონებში, ეკოლოგიური პირობების
 გათვალისწინებით ----- 6
აეთანდილ ლაფაჩი, რევაზ ილაშვილი
 ევროკრიზისი და მისი დაძლევის პერსპექტივები ----- 13
გურამ გველესიანი, მიხეილ ოქროშელიძე
 მსხვილფუნა რქოსანი მესაქონლეობის განვითარების პრობლემები და მათი
 გადაჭრის გზები სამცხე-ჯავახეთის მხარეში ----- 18

**2. მცხროვლეობა და საკვებჭარმეობა- Cattle breeding and fudder
 production ----- 23**
ლევან ყამარაული
 ქვემო ქართლის რეგიონის მეფრინველეობის სამრეწველო საფუძველზე
 განვითარების პერსპექტივები ----- 23
Клибадзе В.Р. Пирихалаишвили Т.П; Курашвили М.К
 Использование Микосорба в кормлении кур-несушек ----- 28
**თენგიზ ფირცხალაიშვილი, მარინე ყურაშვილი, ვახტანგ ქლიბაძე, მარინე
 ცომაია, ქეთევან ჯიქია**
 პამიდვრის მშრალი ანარჩენის გამოყენება ბროილერის კვებაში ----- 31

**3. მექანიზაცია და ელექტრიფიკაცია-Mechanization and
 Electgification ----- 37**
ოთარ ქარჩავა, მარინა ზარქუა
 კარტოფილის წარმოების მაღალი და ტრადიციული სამანქანო ტექნოლოგიების
 შედარებითი ეკონომიკური შეფასება ----- 37

**4. Научные труды ученых Азербайджана
 Scientific work of Azerbaijani Resserchers ----- 42**
С.Г.Азизов
 Территориальная организация оптимизации заселения Прикаспийского региона
 (На примере природно-экономической зоны Ленкорань-Астара) ----- 42
М.Т.Гасалин
 Концепция формирования и государственного регулирования продовольственного рынка - 46
Рзаева Натаван Мамед кызы
 Инвестиционные риски в исследованиях рыночных процессов ----- 50

5. კვების მრეწველეობა-Food Industry ----- 54
**ნუგზარ ბაგატურია, ტენგიზ ნანიტაშვილი, ნანა ბეგიაშვილი,
 ცისანა შილაკაძე, ბეკა ბაგატურია**
 Изучение роли измельчения гребней на качество столовых вин кахетинского
 типа ----- 54
**ნუგზარ ბაგატურია, ტენგიზ ნანიტაშვილი, ნანა ბეგიაშვილი
 ცისანა შილაკაძე, ბეკა ბაგატურია**
 ИССЛЕДОВАНИЕ БЕЛКОВ ВИНОГРАДА С ЦЕЛЬЮ СТАБИЛИЗАЦИИ ВИНА ----- 59

6. ინვესტიციური გარემო- Investment Environment ----- 64
გიორგი დოღონაძე, ჯემალ მაზარაძე
 საქართველოს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ძირითადი პრინციპები -- 64

7. სადაზღვევო ბაზარი—Insurance Market -----	72
ავთანდილ ლაფანი, ივანე ოქრომჭედლიშვილი	
სადაზღვევო ბაზარი და მისი სრულყოფის ღონისძიებანი -----	72
9. უწყვეტი სწავლების დარბაზი Conctant Studying Hall ---	76
მკონომიკა და ბიზნესი Economics and Business -----	76
ლექცია 3. ეკონომიკის ზოგადი საფუძვლები -----	76
ნაწილი 3.1. ბაზარი -----	76
ნაწილი 3.2. მოთხოვნა და მიწოდება -----	78
ნაწილი 3.3. მომხმარებლის არჩევანის თეორია -----	79
ჟურნალის „აგრარულ-ეკონომიკური მეცნიერება და ტექნოლოგიები“-ის თემატიკური სტრუქტურული სქემა (განყოფილებები) -----	80
მოთხოვნები დასაბეჭდად წარმოსადგენი სტატიების მიმართ -----	81
 შინაარსი-CONTENTS -----	 82

2010 წლის III კვარტალი

ტენიკური რედაქცია:

აღაფანი-ტენიკური რედაქტორი-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი; თამაზარაძე-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, კომპიუტერული უზრუნველყოფა, ივჯალაღონია-სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი, ხისავეი, თველიაშვილი-ინგლისური ვერსია, ნაოვლიკაშვილი-სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

მნიკოლეიშვილი-ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ვებ-გვერდის რედაქტორი.

ჟურნალი იბეჭდება:

- საქართველოს სუბტროპიკულ მეურნეობის სახელმწიფო უნივერსიტეტის,
 - ბებაღობის, მკენახეობისა და მელვინეობის ინსტიტუტის;
 - კონსტანტინე ამირჯვანიძის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის ინსტიტუტის;
 - ჩაისა და სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის;
 - ლევან ყანჩაველიძის მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის;
 - იულონ ლომოურის მიწათმოქმედების ინსტიტუტის;
 - მიხეილ საბაშვილის ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიისა და მელიორაციის ინსტიტუტის;
 - კვების მრეწველობის ინსტიტუტის;
 - მეცხარეველებისა და სკვებწარმოების ინსტიტუტის;
 - აკრარული რადიოლოგიისა და ეკოლოგიის ინსტიტუტის;
 - მეფუტკრეობის ინსტიტუტის;
- ფინანსური მხარდაჭერითა და თანადგომით.**

საღარიცხო-საგამომცემლო თაბახი 8.4

პირობითი ნაბეჭდი თაბახი 7.1